# აჭარა

გამოცემის 104-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკეობით

№48 (25.176) 13 დეკემბერი, 2024 წ. 50 თეთრი


**გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით**



დღეს მოსალოდნელია წვიმა, მთაში - თოვა, დასავლეთის მიმართულების ქარი – ზოგან 20-25 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 5-10, მთიან რაიონებში - 0-5 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 0-5 გრადუსი ყინვა. ზღვის წყლის ტემპერატურა 13 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 760 მილიმეტრი. ხვალ მოსალოდნელია თოვა, მომდევნო 2 დღეს - უნალექო ამინდი.

## გაზეთი „აჭარა“ უცხადებს

სოლიდარობას მედიის ნებისმიერ წარმომადგენელს, რომელმაც მიმდინარე აქციებზე პროფესიული მოვალეობის შესრულების გამო იწვნია თავდამსხმელთა სისასტიკე, ვინც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი - სამართალდამცავები, მომიტინგეები თუ უკანონო დაჯგუფებები, რომელთა ვინაობა ჯერაც დაუდგენელია და მოუწოდებს ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ გამოიძიოს და დაადგინოს ყველა დამნაშავე პირის ვინაობა, ვინც შეუზღუდა მუშაობის საშუალება სხვადასხვა ტელეარხისა და პრესის წარმომადგენლებს, რათა ისინი კანონის მთელი სიმკაცრით დაისაჯონ. ვფიქრობთ, ეს იმდენად აუცილებელია ქვეყნის მოსახლეობაში სამართლიანობის განცდისთვის, რომ მტკიცებაც არ სჭირდება. ასევე ვემიჯნებით აქციებზე ძალადობის ნებისმიერ გამოვლინებას.



# აჭარის უმაღლესმა საბჭომ 2025 წლის აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტი დაამტკიცა

*უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე პლენარულ სხდომაზე, აჭარის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი 13 ხმით დაამტკიცეს. რეგიონის მომავალი წლის ბიუჯეტი 880 100 000 ლარს შეადგენს.*



კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ და ავტონომიური რესპუბლიკის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი სხდომაზე ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა წარმოადგინა.

ჯაბა ფუტკარაძის განცხადებით, წინა საბიუჯეტო წელთან შედარებით, 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი 15%-ით გაიზარდა. შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 800 100 000 ლარს, მათ შორის, შემოსავლები 685 100 000 ლარია. საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 660 000 000 ლარით, საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები კი 456 034 600 ლარია.

გაზრდილი ბიუჯეტის ფარგლებში, დაგეგმილია რეგიონისთვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული და საინვესტიციო პროექტების განხორციელება, ჯანდაცვისა და სოციალური, განათლების, სოფლის მეურნეობის პროგრამების, ტურიზმის სფეროს დაფინანსების ზრდა.

მინისტრის განმარტებით, იზრდება როგორც მუნიციპალიტეტებზე გადასაცემი სპეციალური ტრანსფერის მოცულობა, ასევე, მხარჯავი დაწესებულებების დაფინანსება. სამინისტროების მიხედვით, ფინანსები ასე გადანაწილდა: ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო - 149 619 600 ლარი; განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - 154 მილიონი ლარი; ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - 65 500 000 ლარი; სოფლის მეურნეობის სამინისტრო - 36 820 600 ლარი.

მოხსენების წარდგენის შემდეგ, მინისტრმა უპასუხა კანონმდებლების შეკითხვებს.

თანამომხსენებლის, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის - მარინე გვიანიძის განცხადებით, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა ბოლო წლების ტენდენციაა, რაც განპირობებულია ქვეყანაში არსებული სწორი, თანმიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკით. მისივე თქმით, მომავალი წლის ბიუჯეტი რეგიონის მოსახლეობის კეთილდღეობაზეა ორიენტირებული. მარინე გვიანიძემ ხაზი გაუსვა ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით არსებულ სიახლეებს, განათლების, კულტურისა და სპორტის პროგრამების, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროექტების დაფინანსების ზრდას, ისაუბრა გენდერული ბიუჯეტირების საკითხებსა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მნიშვნელობაზე.

სხდომაზე 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტის შესახებ დასკვნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფროსმა აჭარაში - კახაბერ კირტავამ წარმოადგინა, რის შემდეგაც საკითხი კენჭისყრაზე დადგა.

აჭარის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის დამტკიცებას სხდომაზე დამსწრე 13-ვე დეპუტატმა დაუჭირა მხარი.

## მმართველი გუნდის პოზიცია და ოპოზიციის პროტესტი აქციების ტალღა - საქართველოში

2

## «უკრაინის მაგალითზეც გამოჩნდა, რა შედეგებამდე შეიძლება მივიდეს სახელმწიფო მაიდნების, რევოლუციების გზით»

4

## მამუკა არეშიძე: ან არიან აბსოლუტური, კლინიკური იდიოტები, კამერების წინ თავში რომ ურტყამენ ქალებს, ბავშვებსა და ჟურნალისტებს, ან სპექტაკლია

3

## «მხარეები შერიგდებიან იმ შემთხვევაში, თუ მმართველი გუნდი დათანხმდება კომპრომისს»

5

ISSN 2720-8702

9 772720 870003


## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

# მმართველი გუნდის პოზიცია და ოპოზიციის პროტესტი აქციების ტალღა – საქართველოში

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის მიერ 2024 წლის 28 ნოემბერს გაკეთებულმა განცხადებამ, რომ 2028 წლის ბოლომდე დღის წესრიგში არ დააყენებენ ევროკავშირთან კანდიდატის სტატუსზე მოლაპარაკებების გახსნის საკითხს, საქართველოს მოსახლეობის ნაწილი გააბრაზა. ოპოზიციისა და მათი თანამოაზრეებისთვის ეს ფრაზა გადამწყვეტი აღმოჩნდა, რომ ქვეყანაში პროტესტის ახალი ტალღა აგორებულიყო. ირაკლი კობახიძემ იქვე აღნიშნა ისიც, რომ საქართველო არ აჩერებს ევროკავშირისკენ წინსვლას და მოლაპარაკებებს. მისივე თქმით, 2028 წლის ბოლოს საქართველო იქნება ეკონომიკური თვალსაზრისით სათანადოდ მომზადებული, რათა გახსნას მოლაპარაკებები 2030 წელს ევროკავშირში გასაწევრიანებლად. პრემიერის თქმით, ევროკავშირის წევრი ისე უნდა გახდეს საქართველო, რომ ქართული ღირებულებები არ დავკარგოთ.

„ჩვენ ვაპირებთ არა მათხოვრობით და ცალ ფეხზე დგომით ევროკავშირში შესვლას, არამედ ევროკავშირში ღირსეულად გაწევრიანებას, გამართული დემოკრატიული სისტემითა და ძლიერი ეკონომიკით. ჩვენ განვაგრძობთ სვლას ევროკავშირისკენ, თუმცა, არავის მივცემთ საშუალებას, დაგვტოვონ მუდმივი შანტაჟისა და მანიპულაციის რეჟიმში, რაც ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოებისთვის სრულიად შეურაცხმყოფელია“, - აღნიშნა 28 ნოემბრის ბრიფინგზე ირაკლი კობახიძემ.

მოგეხსენებათ, ევროკავშირს საქართველოს მიმართ დათქმები აქვს, რომლის მიხედვითაც, საქართველო ევროკავშირის წევრი უნდა გახდეს. ახლა უკვე დათქმებს ევროკავშირმა დაამატა ისიც, რომ მმართველი გუნდის მიერ მიღებული კანონები „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვნის დაცვის შესახებ“ და „გამჭვირვალობის კანონი“ უნდა გაუქმდეს. მმართველი გუნდის განცხადებით, ამ კანონების გაუქმების მოთხოვნა ქვეყნის შიდა პოლიტიკაში პირდაპირი ჩარევაა და მაშინ საქართველომ საკუთარი ნებით მიღებულ გადაწყვეტილებაზე უარი უნდა თქვას.

უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ ევროკავშირმა „გამჭვირვალობის კანონის“ შემდეგ თავად შეაჩერა საქართველოს გაწევრიანების პროცესი. ასევე, შეწყვიტა საქართველოს თავდაცვის სფეროსთვის განკუთვნილი 30 მილიონი ევროს ოდენობის სამხედრო პროგრამაც, რომელიც „ევროპის მშვიდობის ფონდიდან“ გამოიყოფა. მმართველი პარტია კი ეუბნება ევროკავშირს, თავად დადონ მოლაპარაკების დოკუმენტი და იმავე დღეს მოაწერს ხელს „ქართული ოცნება“.

აღნიშნულს გამოხმაურება მოჰყვა აჭარაში. „ქართული ოცნებიდან“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი ცოტნე ანანიძე ირაკლი კობახიძის განცხადებას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ამ განცხადებამ საქართველოს მიმართ ევროკავშირის ინტერესი კიდევ უფრო გააძლიერა.

„ეს არაა უარი ევროკავშირზე, პირიქით - სუვერენული და პრაგმატული სვლაა მოცემულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში! 2030-ში შევხვდებით ევროკავშირის ქობულეთში“, - აღნიშნა ანანიძემ.




დავუბრუნდეთ პროტესტს. როგორც მოგეხსენებათ, ოპოზიციის წარმომადგენლები და ის ადამიანები, რომლებსაც სჯერათ, რომ 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები გაყალბდა, 28 ოქტომბრიდან ითხოვდნენ არჩევნების ხელახლა ჩატარებას. ჰოდა, სად იყო და სად არა, მათ ირაკლი კობახიძის განცხადება წამოეწია.

იმავე საღამოს საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ოპოზიციონერები ორბელიანების სასახლეში დაიბარა და მათთან ერთად დაგმო მთავრობის გადაწყვეტილება, შემდეგ კი ყველამ ერთად რუსთაველზე გადაინაცვლა, სადაც საპროტესტო აქცია მიმდინარეობდა. აქციები იმართებოდა სხვა ქალაქებშიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბათუმი, სადაც შეკრებილ საზოგადოებას, როგორც აღმოჩნდა, მშვიდობიანი პროტესტის არსი ყველაზე უკეთ ესმის, რაც მომდევნო დღეებშიც მკაფიოდ გამოჩნდა.

29 ნოემბერს, გამთენიისას თბილისში პოლიციასა და აქციის მონაწილეებს შორის დაიწყო დაპირისპირება, სადაც სამართალდამცავებმა რამდენიმე მოქალაქე დააკავეს. პარალელურად, მომიტინგეებმა პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე რკინის ჯებირების მოხსნა დაიწყეს, მოგვიანებით კი, როდესაც მათი ნაწილის დამორჩილება უკვე შეუძლებელი გახდა, პოლიციამ აქციის დასაშლელად კანონით გათვალისწინებული წყლის ჭავლი გამოიყენა.

მომდევნო დღეებში მომიტინგეების პროტესტს მოჰყვა სპეცრაზმელების მხრიდან გაუმართლებელი ძალადობა. ჩვენ პირდაპირ ეთერში ვხედავდით სპეცრაზმელების მიერ ნაცემ ჟურნალისტებს, თავგატეხილ მოქალაქეებს, დაშავებულ ახალგაზრდებს, რომლებსაც მრავლობითი დაზიანებები აღენიშნებოდათ. ისინი საავადმყოფოში გადაიყვანეს, ბევრ მათგანს კი რეანიმაციაში მოთავსება დასჭირდა. როდესაც იცი, რომ მოძალადეც და მსხვერპლიც ერთი ქვეყნის შვილები არიან, ეს ძალიან მტკივნეულია. არაფერია იმაზე საშინელი სანახავი, როდესაც ქართველი ქართველზე ძალადობს.

აქციაზე დაშავდნენ პოლიციელებიც მომიტინგეების ნასროლი პიროტექნიკით, ქვებითა და „მოლოტოვის კოქტეილებით“.

8 დეკემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროში ბრიფინგი ჩატარდა. მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ აქციაზე დაშავებულ პოლიციელებზე ისაუბრა. მისი თქმით, მომიტინგეების მხრიდან 150-ზე მეტი პოლიციელი დაშავდა.

„სამწუხაროდ, მხოლოდ იმ ადამიანების ფოტოები ვრცელდება, რომლებიც აქციის დროს დაშავდნენ და არ ვრცელდება იმ პოლიციელების ფოტოები, რომლებიც დღე და ღამე შრომობენ, რომ ჩვენმა საზოგადოებამ მშვიდად იცხოვროს. წარმოიდგინეთ, როგორია პოლიციელისთვის, როცა შენ გვერდით დგას შენი თანამებრძოლი, მას პიროტექნიკა ან ქვა ეცემა და ამ დროს პიროტექნიკით ცეცხლს უშენს პოლიციელებს აქციის მონაწილე. ეს რომანტიზებულია და აქებენ ასეთ საქციელს. არადა, ძალიან ცუდია და დასაგმობია ძალადობა, როგორც პოლიციელების მხრიდან, ასევე აქციის მონაწილეების მხრიდან და ამ შემთხვევაში ყველამ უნდა გავაკეთოთ ჩვენი საქმე“, - განაცხადა ალექსანდრე დარახველიძემ.

აქციაზე დააკავეს მოქალაქეები, მათ შორის, მსახიობები, რეჟისორები და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, რამაც უფრო ფართო პროტესტი გამოიწვია. ამ ყველაფერს მოჰყვა საქართველოს სხვადასხვა თეატრში მსახიობების ნაწილის გაფიცვაც. ისინი ამბობენ, რომ სანამ საქართველოში ასეთი დაძაბული მდგომარეობა იქნება, მანამ არ დაუბრუნდებიან სცენას.

ჩვენ ვნახეთ აქცია საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელთანაც, ასევე, აჭარის ტელევიზიასთან, სადაც მომიტინგეები მოითხოვდნენ, მოქალაქეებს ჰქონოდათ მიმდინარე მოვლენებზე საკუთარი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა. საბოლოოდ, ორივე მაუწყებელმა დაუთმო მათ დრო.

ჟურნალისტი ომშიც კი ხელშეუხებელია, ეს ყველას უნდა ახსოვდეს და ესმოდეს. ჟურნალისტი აკეთებს საკუთარ საქმეს და, ვინმეს მოსაწონს თუ არა, ყველამ უნდა სცეს პატივი. განსაკუთრებით აღმაშფოთებელი იყო ტელეკომპანია „პირველის“ ჟურნალსტ მაკა ჩიხლაძესა და ოპერატორ გიორგი შეწირულზე ჯგუფური თავდასხმა, რაც პირდაპირ ეთერში ნახა საზოგადოებამ. აღნიშნული ფაქტი დაგმეს მმართველ გუნდშიც და აღნიშნეს, რომ ყველა დამნაშავე დაისჯება.

„ტვ პირველის“ ჟურნალისტსა და ოპერატორზე თავდასხმის კადრები უმძიმესია. ამას მხოლოდ ის გააკეთებდა, ვისაც აქციების არასწორად წარმართვა და ძალადობის პროვოცირება სურს, ვის წისქვილზეც ეს ქმედება ასხამს წყალს. იმედი მაქვს, გამოძიება დროულად გაგვიზიარებს ინფორმაციას ამ ძალადობის ფაქტზე და დამნაშავეს სათანადო პასუხი გაეცემა“, - აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ნინო წილოსანმა. მმართველ გუნდში აცხადებენ, რომ ჟურნალისტების მიმართ ძალადობის დაგმობა ცალმხრივად არ უნდა ხდებოდეს და არაოპოზიციურ ჟურნალიტებსაც უნდა გამოუცხადონ სოლიდარობა, რომლებსაც აქციის მონაწილეები შეურაცხყოფას აყენებენ და მათზე ფსიქოლოგიურად ძალადობენ.

ჯგუფზე, რომელიც „ტვ პირველის“ ჟურნალისტსა და ოპერატორს თავს დაესხა, მმართველ პარტიას და ოპოზიციას განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. მმართველი გუნდის თქმით, ვინც ჟურნალისტებს და პოლიტიკოსებს თავს ესხმის, პროვოკატორია და ასეთი ქმედებებით მიზანმიმართულ პროვოკაციაზე მიდის. რაც შეეხება ოპოზიციას და მათ თანამოაზრეებს, ამბობენ, რომ ამ დაჯგუფების წევრები ბიძინა ივანიშვილის ე.წ. „ტიტუშკები“ არიან, რომლებიც ხალხზე ძალადობენ.

დაშავებულ ჟურნალისტებს კოლეგებმა სოლიდარობა გამოუცხადეს მთელი ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის, ბათუმშიც, სადაც აღინიშნა, რომ ჟურნალისტი დაცული უნდა იყოს ნებისმიერ სიტუაციაში და მიეცეს თავისუფლად მუშაობის საშუალება. აქციის მონაწილეებმა, ასევე, საზოგადოებას გააცნეს სხვადასხვა მედიის 52 წარმომადგენლის სახელი და გვარი, რომლებმაც პროტესტის განმავლობაში ფიზიკური დაზიანებები მიიღეს. მათ კიდევ ერთხელ დაგმეს ძალადობა. ჟურნალისტებმა მოუწოდეს „ქართულ ოცნებას“ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ყველაფერი იღონონ, რათა შეწყდეს მედიაზე თავდასხმა.

ნიღბიანი პირები თბილისში თავს დაესხნენ „კოალიცია ცვლილებისთვის“ წევრ კობა ხაბაზს.

„იდენტიფიცირება იყო შეუძლებელი. ლიფტიდან გამოვედი, კიბეზე რომ ჩავდიოდი, უცებ ამოვარდნენ, 50-მდე ადამიანი იყო და ცემა დამიწყეს, რაღაცა ჩამარტყეს თავში, დავეცი და მირტყამდნენ წიხლებს. აშკარად მიცნეს, აგერო, დაიძახეს და იმ წუთში დამესივნენ“, - აღნიშნა კობა ხაბაზმა.

ძალადობას გმობენ სპორტსმენები, ხელოვანები და საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები. ისინი ამბობენ, რომ ის, რაც ხდება ახლა ქვეყანაში, მიუღებელია და მმართველმა გუნდმა უნდა შეაჩეროს.

საზოგადოების ასეთი განხეთქილება სადამდე მიგვიყვანს, არავინ იცის, აუცილებელია ქვეყანაში სიტუაცია დალაგდეს. საქართველო ყველასია, იგი ყველას თავისებურად უყვარს და მსგავსი არეულობა, ცემა-ტყეპა მხოლოდ ჩვენი საერთო მტრის, რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს. საქართველო ევროპის ნაწილია, ის იმსახურებს იყოს ევროკავშირის ღირსეული წევრი და ამაში ხელი არაფერმა უნდა შეგვიშალოს.

# „თითოეული ჩვენგანი ნაცემია“

ნანა აბულაძე 577 20 35 90

***„მიეცით მედიის წარმომადგენლებს უსაფრთხო გარემოში მუშაობის საშუალება“, „გამოიძიეთ ჟურნალისტებზე, ფოტოგრაფებსა და ოპერატორებზე თავდასხმის ფაქტები“, „მედია მტერი არ არის, მტერი რუსეთია“... - ასეთი შინაარსის ტრანსპარანტებით ევროპის მოედანზე აჭარაში არსებული მედიასაშუალებების წარმომადგენელთა აქცია გაიმართა ლოზუნგით - „მედია გამოდის ტერორისა და რეპრესიების წინააღმდეგ!“***

ჟურნალისტებმა მოუწოდეს „ქართულ ოცნებას“ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ყველაფერი იღონონ, რათა შეწყდეს მედიაზე თავდასხმა და ძალადობის წახალისება. დაუყოვნებლივ გამოიძიონ ჟურნალისტებზე, ფოტოგრაფებსა და ოპერატორებზე თავდასხმის ფაქტები, მიეცეს მედიის ყველა წარმომადგენელს უსაფრთხო გარემოში მუშაობის საშუალება.

აქციაში მონაწილე ჟურნალისტები ერთხმად აცხადებენ, რომ გმობენ კოლეგების მიმართ ძალადობას, მათ შორის ხელისუფლებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების მხრიდან. „ჟურნალისტი ომშიც კი ხელშეუხებელია, ჩვენ კი დღისით, მზისით, პირდაპირ ეთერში გვკლავენ, გვცემენ, გვამცირებენ, რაც წარმოუდგენელია“, - აცხადებენ ჟურნალისტები.

საქართველოში ბოლო ორი კვირის განმავლობაში განვითარებულ მოვლენებზე „აჭარასთან“ კომენტარი საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის რადიოს რედაქტორმა მაია მერკვილაძემ გააკეთა:

- ეს იყო კულმინაცია, როცა პირდაპირ ეთერში ასე სასტიკად გაუსწორდნენ TV პირველის ოპერატორსა და ჟურნალისტს. სიძულვილის კულტივირებამ მიგვიყვანა ამ დღემდე. სიძულვილს ვხედავდით იმ ადამიანების მხრიდან, რომლებიც არიან პასუხისმგებელი საზოგადოებრივ მშვიდობაზე, საზოგადოებრივ თანხმობაზე. ოპონენტების დამნაშავედ გამოცხადების, დევნის, გამეტების ქრონიკა ბოლოს დამთავრდა იმით, რომ ყველა, მათ შორის ჟურნალისტები, შეიძლება იყვნენ ამ ყველაფრის მსხვერპლნი. დიდი ხანია გვცემენ, გვავიწროებენ, გვდევნიან, ხელს გვიშლიან მუშაობაში, სხვადასხვა მეთოდით გვაშანტაჟებენ, იკავებენ იმ სივრცეებს, რომელიც ჩვენია და თავისუფლებისთვის გვჭირდება. თავისუფლად სუნთქვისთვის ჰაერი აღარ დატოვეს ქვეყანაში. მე მინდა ვთქვა, რომ ეს ქვეყანა თავისუფლების და პატრიოტიზმის ნაზავია და არავის ეგონოს, რომ ესენი ცალკე შეიძლება ვინმემ განიხილოს. დღეს, სამშობლოს სიყვარული, ჩვენი ქვეყნის სიყვარული იგივდება ზუსტად თავისუფლების სიყვარულთან. გამოსავალს ვხედავ ხალხის ერთიანობაში, სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელთა პროტესტში, მაგალითად, ექიმების, პედაგოგების, საჯარო მოხელეების. ეს დამცინავი, ირონიული, სიძულვილით სავსე რიტორიკა ხომ ყველას უშხამავს სიცოცხლეს, ვინც ამ ქვეყანაში ცხოვრობს. ყველა თავისებურად აპროტესტებს, ზოგს არ ყოფნის ძალა, გამბედაობა, ზოგი შანტაჟის მსხვერპლია. მხოლოდ ერთი სიტყვითაც შეიძლება გაემიჯნონ ძალადობას იმისთვის, რომ პირნათელი იყვნენ მომავალში და არ მისცენ საშუალება მათი უკან დგომით მანიპულაციების მსხვერპლი გახდნენ სხვები, - გვითხრა მაია მერკვილაძემ.



იხ. მე-8 გვ.

# მამუკა არეშიძე: ან არიან აბსოლუტური, კლინიკური იდიოტები, კამერების წინ თავში რომ ურტყამენ ქალებს, ბავშვებსა და ჟურნალისტებს, ან სპექტაკლია

ირმა ცეცხლაძე 577 10 15 17

***არ ცხრება საპროტესტო აქციები და რაც უფრო ძლიერდება ფიზიკური დაპირისპირებები მხარეთა შორის, მით მეტი ადამიანი უერთდება ოპოზიციას. 24 საათის განმავლობაში ტრიალებს სოციალურ ქსელებში დაშავებულთა, ნაცემთა, დაზარალებულთა ვიდეორგოლები, რაც აქამდე მშვიდად მყოფი მოსახლეობის უმეტესი ნაწილის გაბრაზებას იწვევს და ქუჩაში გაჰყავს***

*ზოგიერთს ბუნებრივად უჩნდება კითხვა: რატომ იქცევიან ძალოვნები ისე, თითქოს სპეციალურად აღიზიანებენ ქვეყანას, ხოლო ბავშვების და ქალების ცემით, გამწარებული დედების ცრემლებით კიდევ უფრო დიდ საპროტესტო ტალღას აგორებენ. ოპოზიციამ წელი გაიმაგრა, აცხადებს, რომ ქუჩებში მსვლელობები, გალექსილი ურცხვი გინებები, უწმაწური შეძახილები და მოლოტოვის კოქტეილები თავად სტუდენტების არჩევანია, ისინი ლიდერების გარეშე, სტიქიურად მოქმედებენ, თავად მარაგდებიან პიროტექნიკითა თუ მოლოტოვის კოქტეილებით და თავად ირჩევენ, რა მეთოდებით იბრძოლონ ევროპისკენ მიმავალ გზაზე დასაბრუნებლადო, ანუ ოპოზიციის ლიდერები ხელს იბანენ პასუხისმგებლობისგან.*

*გთავაზობთ ინტერვიუს ექსპერტ* ***მამუკა არეშიძესთან,*** *რომელიც საინტერესო პარალელებს ავლებს წარსულთან და შეცდომების განმეორების რეალურ საფრთხეს აანონსებს.*

**- როგორც ყოფილი ჟურნალისტი, რა კომენტარს გააკეთებთ ჟურნალისტების სასტიკად ცემის ფაქტზე?**

- მომხრე ვარ, კანონის ფარგლებში იყოს როგორც მომიტინგეების, ისე პოლიციელების საქციელი. სახელმწიფო უნდა იდგეს კანონზე და სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე. ერთ-ერთი თუ დასუსტდება, მაშინ მას საძირკველი ეცლება და სახელმწიფოს წარმონაქმნს ემსგავსება. მოკლედ, არც ერთი მხრიდან არ უნდა დაუშვან ძალის, უფლებების გადამეტება, თავზე გადახტომა და სხვა. სამწუხაროდ, ორივე მხარის საქციელში იგრძნობა „სხვისი ხელი“ (სხვა სახელმწიფოს მიერ დასახულ ამოცანებს რომ ასრულებენ) და ორივე მხარეს არიან ადამიანები, რომლებიც იდეის ირგვლივ გაერთიანებული დადგნენ ერთმანეთის პირისპირ. ანუ პოლიციელებშიც არიან, კანონს რომ პირნათლად იცავენ და მომიტინგეებშიც - საქართველოს კეთილდღეობის გამო რომ გადადეს თავი.

**- პოლარიზაცია დღითი დღე მძაფრდება...**

- მახსენდება 1991 წლის დეკემბერი. დიახ, ყველაფერი მეორდება. მაშინ „მხარე“ ვიყავი, რაც დღემდე ვერ მიპატიებია თავისთვის. ვერ გავთვალეთ მე და ჩემმა თაობამ, რომ ეს ყველაფერი სისხლს მოიტანდა. ახლაც ტრაგედიამდე ერთი ნაბიჯია პრაქტიკულად, ეს ნაბიჯი უკვე გადადგმულია. მაშინაც ასე იყო... რას წარმოვიდგენდით, წინ რა გველოდა და რამხელა ტკივილის გადატანა მოგვიწევდა. კარგად იცით, მაშინ ვინ გაიხარა. ახლაც სხვა გაიხარებს საქართველოში დატრიალებული ტრაგედიით. ეს ქვეყანა ყველას ფეხებზე ჰკიდია - მტერი იქნება თუ ფარისეველი მოყვარე. ყველას უნდა ეს ტერიტორია ქართველების გარეშე. კარგი გეოპოლიტიკური სივრცეა. იცვლება მსოფლიოში ყველაფერი, ტერიტორიების გადანაწილება მიმდინარეობს და, აქედან გამომდინარე, ძალიან მომგებიანი პოზიცია გვიჭირავს. სწორედ ამიტომ გაჩნდა ამხელა ინტერესი და აღმოვჩნდით ამ გადანაწილების ეპიცენტრში. შორეულ და ახლობელ მეზობელს, პარტნიორსა თუ მტერს სურს, მაქსიმალურად აკონტროლოს ეს სივრცე და ამისთვის ქმნიან საქართველოში გავლენის ჯგუფებს. ასე იყო 30 წლის განმავლობაში. ეს ყველაფერი უნდა გავაანალიზოთ, გაუმართლებელ დაპირისპირებებში, სიძულვილის ხელოვნურად შექმნილ პლატფორმაზე კი არ უნდა შევაკვდეთ ერთმანეთს, მიმოვიხედოთ და დავაკვირდეთ, რა ხდება ირგვლივ... სიმართლე გითხრათ, ისიც ვიცი, რომ ჩემი ეს ლაპარაკი წყლის ნაყვაა, იმდენადაა პოლარიზებული საზოგადოება ამ ეტაპზე. გახსოვთ, ალბათ, მსგავსი პოლარიზების განსამუხტად ექმმა გია აბესაძემ თავი ფიცა, ისიც მახსოვს, რა ხდებოდა ქალაქში. 2 სექტემბრის სისხლის პატარა გუბეებიდან ზღვები (სამოქალაქო დაპირისპირება, ომები აფხაზეთსა თუ სამაჩაბლოში) მივიღეთ. ერთი და იგივე მეორდება საქართველოს ისტორიაში და ეს ყოველთვის მთავრდება სამოქალაქო დაპირისპირებით, სადაც ყოველთვის საქართველო მარცხდება. ამ მოვლენების უკან მე ყოველთვის სხვის ხელს ვხედავ.



**- ვინ ისარგებლებს ჩვენი დაპირისპირებითა და ამ მსხვერპლით?**

- აქ მუდმივად იშვერენ ხელს საწინააღმდეგო მიმართულებით, ოპოზიცია - რუსეთისკენ, სამთავრობო სექტორი - დასავლეთისკენ... მუდამ მავანი სარგებლობს ქვეყანაში შექმნილი რთული ვითარებით. ძალიან კარგად მახსოვს, როგორ მოხდა გალის მოვლენების პროვოცირება 1998 წელს, მახსოვს, აფხაზეთში როგორ დაიგო ხაფანგი გილაევის ლაშქრობის კონტექსტში. „ვარდების რევოლუციაც“ ის მოვლენაა, რომელიც სხვაგან დაიგეგმა. მერე იყო 2005 წლის კონფლიქტი და 2008 წლის აგვისტოს ომი, რომლებშიც ყოველთვის მონაწილეობდნენ სხვა ძალები, ჩვენი ქვეყანა დანგრევამდე რომ მიჰყავდათ... და მე გეუბნებით, ყველა ისარგებლებს, ის ჩვენი მეზობლებიც, ახლა მეგობრები რომ გვ-არ დაუჭერს და არც უჭერს მხარს, მაგრამ ბევრ რამეში, პირადად მე, ეჭვი მეპარება... თავში რომ ურტყამდნენ, ორი კამერა იღებდა ამ ინციდენტს და ვინ არის დებილი, დაიჯეროს?! გამოდის, იდიოტები არიან, ამ ორი კამერის წინ ამ სადამსჯელო აქტს რომ სჩადიოდნენ. ისღა დარჩათ, მოტრიალებულიყვნენ, გაეღიმათ და კამერის მიმართულებით მოკითხვები გადაეცათ ახლობლებისთვის. თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში რა უნდა იმ ადამიანების ამოცნობას?! ხელოვნური ინტელექტის ერთ-ერთი დანიშნულება ზუსტად ეს არის. მარტივად შეუძლია ასეთი ამოცანის გამოშიფრვა, ანუ სპექტაკლის ელემენტები იგრძნობა მთელ ამ ვიდეორგოლებში: ან არიან აბსოლუტური, კლინიკური იდიოტები, კამერების წინ თავში რომ ურტყამენ ქალებს, ბავშვებსა და ჟურნალისტებს, ან სპექტაკლია. სხვანაირი ახსნა ვერ გამოვძებნე. ეს შაბათის ღამის ეპიზოდზე ვთქვი. მანამდე პოლიციელები თავში ფეხს ურტყამენ ადამიანს. საშინელება რომ არის, რაღ უნდა თქმა. ისიც საშინელებაა, როგორ უმიზნებენ და ესვრიან პოლიციელებს ფოიერვერკებს თუ მოლოტოვის კოქტეილებს მომიტინგეები... ეს ყველაფერი არის პროცესი, რაზეც ბევრჯერ ვილაპარაკეთ, მაგრამ ყველაზე დი-

*რომ დაიწვა. შედეგი?! - ნული! ახლაც ასე იქნება, ტყუილად ვლაპარაკობ მეც და ტყუილად იხარჯებით - თქვენც, შედეგი ახლაც ნულის ტოლი იქნება. იქნებ გაზვიადებული ნათქვამი გამომდის, მაგრამ იმიტომ ვამბობ, მინდა, ყველამ გააცნობიეროს მთავრობასა თუ ოპოზიციაში, რომ ძალიან ფრთხილად უნდა იყვნენ, რათა სათქმელიც თქვან და ქვეყანაც არ დაანგრიონ. ცხადია, ეს მომიტინგეებსაც ეხებათ, რომელთა ნაწილი მართლაც არ ემორჩილება არც ერთ მხარეს და სტიქიურად მიჰყვება ტრაგედიისკენ მიმართულ პროცესებს.*

> ***„ყველაფერი მეორდება. მაშინ „მხარე“ ვიყავი, რაც დღემდე ვერ მიპატიებია თავისთვის. ვერ გავთვალეთ მე და ჩემმა თაობამ, რომ ეს ყველაფერი სისხლს მოიტანდა. ახლაც ტრაგედიამდე ერთი ნაბიჯია პრაქტიკულად, ეს ნაბიჯი უკვე გადადგმულია. მაშინაც ასე იყო... რას წარმოვიდგენდით, წინ რა გველოდა და რამხელა ტკივილის გადატანა მოგვიწევდა. კარგად იცით, მაშინ ვინ გაიხარა***

**- ოპოზიცია მხრებში გაიშალა დაძაბულობის ესკალაციით და მეტი აგრესიისკენ მოუწოდებს მომიტინგეებს, ამიტომ სტიქიურს ნაკლებად ჰგავს მათი ქმედებები...**

- რასაკვირველია, ასეა, ოპოზიცია საკუთარ პოლიტიკურ მიზნებს ახორციელებს სტიქიურად ქუჩებში გადმოდინებული, გაბრაზებული ხალხის ხელით. მსგავსი რამ ბუნებრივად აღიქმება ამ ეტაპზე, მაგრამ შენ რომ ხელისუფლება ხარ, შესაბამისად უნდა მოიქცე. ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ნებისმიერ ანტისახელმწიფოებრივ ქმედებას დაუპირისპირო საღი აზრი, თუნდაც ამისთვის კომპრომისული ნაბიჯი გადადგა. მე ახლა რეცეპტების გამოწერას არ დავიწყებ, რადგან მაინც არავინ მოგვისმენს, ვინც პოლიტიკაშია, თავისი თავი ყველაზე ჭკვიანი ჰგონია... ფაქტია, რომ რაღაც ისეთი უნდა მოიფიქრონ, რაც ამ დაპირისპირებას შეანელებს. კომპრომისს, ერთმანეთისკენ გარკვეული ნაბიჯების გადადგმას ითხოვს საზოგადოების უმეტესი ნაწილი. მოსმენა, დათმობა და ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღებაა აუცილებელი. მაშინ კომპრომისულ ჯგუფებში მეც ვიყავი და ძალიან კარგად მახსოვს, ვიჯექით გრძელ მაგიდასთან - ჩვენ ჩვენსას ვლაპარაკობდით, ისინი - თავისას და... ერთმანეთს არ ვუსმენდით, არათუ ვერ ვიგებდით, საერთოდ არ ვუსმენდით! მაგრამ ეს ერთხელ ხომ გამოვიარეთ?! იმ გრძელი მაგიდიდან რომ ავდექით და გარეთ გამოვედით, ერთმანეთს სროლა დავუწყეთ, ხოლო ეს ომი რითი დამთავრდა, ყველასთვის ცნობილია.

**- სამწუხაროდ, არ ახსოვს ბევრს, არადა, ზუსტად იგივე სცენარით ვითარდება მოვლენები...**

- რა ვქნა, მე ვლაპარაკობ, ვიხსენებ, ვყვები... ბესარიონ გუგუშვილის კაბინეტში ხდებოდა მოლაპარაკება... იქით დეპუტატები ისხდნენ, არ მინდა ახლა მათი სახელების ხსენება, დადგება მაგის დროც... სწორედ ჩვენი მოუთმენლობის და შეუთანხმებლობის გამო ტრაგედიით დასრულდა ყველაფერი. ახლაც ტრაგედია დატრიალდება... თუ გნებავთ, გავიხსენოთ ქრონოლოგიურად: 1991 წლის 2 სექტემბერს დაღვრილმა პირველმა სისხლმა განაპირობა ათასი უბედურება. მაშინ „პირველი არხის“ ჟურნალისტი გახლდით და აქციები გავმართეთ 2 სექტემბრის მოვლენების გამო. მახსოვს, ტელევიზია გაგონია. მომიტინგეები ისე არიან ჩართული ქვეყნის შიდაპოლიტიკურ პროცესებში, რომ გარეთ ვერ ამჩნევენ, რა ხდება.

**- ...და რა ხდება გარეთ?**

- ფიგურალურად რომ ვთქვათ, გარეთ ამ წუთში მიმდინარეობს ოსმალეთის იმპერიის აღდგენა, ყოველ შემთხვევაში, იმ საზღვრებში, რომელშიც მანამდე იყო, რასაც მიესალმება მთელი თურქული საზოგადოება და მედია. გავიხსენოთ, ნუ დაგვავიწყდება ის საფრთხეები, რაც ჩასაფრებულია. არ მინდა ახლა ამაზე გადავიტანო აქცენტი, მაგრამ უნდა ვიცოდეთ ერთი რამ: საქართველოს არ ჰყავს მოყვარე და მეგობარი, მას მხოლოდ დროებითი პარტნიორების იმედი უნდა ჰქონდეს, რადგან როგორც კი იმ „პარტნიორის“ ინტერესებში ჩავჯდებით, მაშინვე მოგვინდომებს სათავისოდ. ამიტომ არ უნდა მოვიქცეთ ისე, რომ იმ არაგულწრფელ მოყვარეს ხელში ჩავუგდოთ ეს ქვეყანა მარტივად. თუ ბრძოლაა, მაშინ ბრძოლა იყოს, მაგრამ ერთმანეთის წინააღმდეგ კი არა, იმ გამოწვევების წინააღმდეგ, საქართველოს წინაშე რომ დგას.

**- ისევ მომიტინგეებს და მათ დარბევებს დავუბრუნდეთ...**

- ისევ ვიტყვი, რომ ამის გამართლება შეუძლებელია, არც ერთი საღად მოაზროვნე დი საფრთხე წინ გველოდება, როდესაც ტრაგედიამდე მივალთ.

**- ტრაგედიაში სამოქალაქო ომს გულისხმობთ?**

- დიახ, ქართველის მიერ ქართველის სისხლის დაღვრას ვგულისხმობ და იმ ფანტასმაგორიულ, უზარმაზარ ნაპრალს, რომელიც დღითი დღე ღრმავდება და მთელ ქართულ საზოგადოებას გასდევს. შეიძლება ჩვენს პატარა ქვეყანაში იყოს ორი ბანაკი, რომელიც ერთმანეთს დასანახად ვერ იტანს?! სიძულვილის ენამ მოიცვა ქვეყანა და ოჯახებში დაისადგურა, დედა შვილს ვერ უგებს და მამა - ბაბუას... ერთმანეთს არ უსმენენ და ჯიქურ მიიწევენ უფსკრულისკენ დასაღუპად... მთელ ამ ვითარებაში ყველაზე გამაღიზიანებელია მესამე კატეგორია, რომელიც ჩვეულ ცხოვრებას აგრძელებს, რესტორანშიც დადის, დასასვენებლადაც მიემგზავრება და შოპინგებსაც არ იკლებს... ისევ ის ხდება, რაც „მაშინ“: თვითმფრინავით ცხედრები რომ ჩამოჰქონდათ აფხაზეთიდან, ზოგნი დუბაიში მიფრინავდნენ სავაჭროდ... რაც ხდება, არის ერის გახლეჩა და ამ სიტუაციას ჩვენი მტრები გამოიყენებენ. მერე ხელისუფლებამ დააშავა თუ ოპოზიციამ, არავის ემახსოვრება - საბოლოოდ ქვეყანა დაზარალდება.

## რა იკრძალება „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონით?



შეკრება-მანიფესტაციაზე მყოფ იმ პირთა ნუსხას, რომელთაც პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე სახის დაფარვის უფლება ექნებათ, შინაგან საქმეთა მინისტრი დაადგენს, ამ შინაარსით გადამუშავდა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებები, რომელსაც პარლამენტი დაჩქარებული წესით განიხილავს. ამასთან, შინაგან საქმეთა მინისტრი განსაზღვრავს ასეთ პირებზე შესაბამისი ნებართვის გაცემის წესსა და პირობებს.

ასევე, აქციის მონაწილეებს, პიროტექნიკური ნაწარმის გარდა, ეკრძალებათ იქონიონ ლაზერული და მკვეთრი გამოსხივების მქონე ნებისმიერი ისეთი საშუალება, რომლის გამოყენებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელთა საქმიანობას და მათ სარგებლობაში არსებულ ტექნიკურ საშუალებათა გამართულ ფუნქციონირებას. იკრძალება ნიღბით და ნებისმიერი სხვა საშუალებით სახის დაფარვა.

საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც პარლამენტმა მეორე მოსმენით უკვე მიიღო, დღეს მესამე მოსმენით დამტკიცდება და გამოქვეყნებისთანავე ამოქმედდება.

# „უკრაინის მაგალითზეც გამოჩნდა, რა შედეგებამდე შეიძლება მივიდეს სახელმწიფო მაიდნების, რევოლუციების გზით“

ირმა ცეცხლაძე 577 10 15 17



> ვინც ითხოვს რიგგარეშე არჩევნებს, ერთხელაც არ აქვს წაკითხული საქართველოს საარჩევნო კოდექსი, ან წაკითხული აქვს და თანამოქალაქეებს ატყუებს. რიგგარეშე არჩევნები ტარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი ვერ აყალიბებს, ვერ ირჩევს მთავრობას. საქართველოს პარლამენტმა მოახერხა მთავრობის ფორმირება. რიგგარეშე არჩევნების გამოწვევა მხოლოდ ხელოვნურად შეიძლება, ანუ უნდა გადადგეს პრემიერი და „ქართული ოცნების“ უმრავლესობამ ხელოვნურად უნდა ჩააგდოს ახალი მთავრობის დამტკიცება

*გთავაზობთ ინტერვიუს პოლიტოლოგ ასლან ლორთქიფანიძესთან.*

**- საქართველოში მასობრივი პროტესტის ფონზე, ლარმა სწრაფად დაიწყო გაუფასურება, თუმცა შეჩერება მალევე მოხერხდა. ხომ არ გვემუქრება ამ მხრივ კონკრეტული საფრთხე?**

- ლარის კურსზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი. არცერთი ეკონომიკური პარამეტრი მისი გაუფასურების საფუძველს არ იძლევა, რადგან რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით მაღალი ეკონომიკური ზრდა გვაქვს. მასზე უარყოფით გავლენას ახდენს ნეგატიური მოლოდინები, პოლიტიკური არასტაბილურობა, რომელსაც ძალადობრივი აქციები იწვევს, მანამდე კი ლარზე ზეწოლა საარჩევნო წელმა მოახდინა. ლარის გაუფასურებას ხელს, ასევე, უწყობს დასავლური ქვეყნებიდან დასანქცირების მუქარებიც. ყველა ამ ნეგატიური, ხელოვნური ფაქტორის ერთობლიობის ფონზე, მიუხედავად გაუფასურებისა, ლარი საკმაოდ მყარად დგას. ეროვნული ბანკი ინტერვენციებით ხელს უწყობს მის სტაბილურობას. მალე მიილევა საპროტესტო აქციების ინტენსივობა და პოლიტიკური კრიზისის ხელოვნურად გამოწვევის მცდელობა, რის შემდეგაც ლარი უფრო სტაბილური და მყარი გახდება.

**- ქვეყანაში არ წყდება პროტესტი, ბიზნესები ერთმანეთის მიყოლებით ავრცელებენ ევროკავშირის მხარდამჭერ განცხადებებს და უკვე დაიწყო გაფიცვებზე საუბარიც. ეს ყველაფერი რა გავლენას მოახდენს ქართულ ეკონომიკაზე?**

- მხოლოდ უარყოფით გავლენას მოახდენს, თუმცა ბიზნესსუბიექტების უმრავლესობა ორიენტირებულია საქმეზე და ამ განცხადებებს არ აქვს სისტემური ხასიათი. ეს ეიფორია მალე გადაივლის, მომიტინგეები დამშვიდდებიან და ქვეყანა დაუბრუნდება ნორმალური ცხოვრების რიტმს. ამაზე უარესი არასტაბილურობა გადაუტანია ქვეყანას. ჩვენი სახელმწიფო ინსტიტუტები დღეს გაცილებით მდგრადია რყევებთან მიმართებაში, ვიდრე ეს გასულ წლებში იყო.

**- ახლა ხომ მხოლოდ არჩევნების გაყალბების გამო არ არის პროტესტი... აპროტესტებენ კონსტიტუციის დარღვევას, დასავლური კურსის შეცვლას, ევროკავშირზე უარს. პრემიერის განცხადების შემდეგ რეალობა ძალიან შეცვლილია...**

- არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო ჩვენი მოსახლეობის უმცირესობა საბაბს ეძებდა უკმაყოფილების გამოსახატად. პირველი ასეთი მცდელობა არჩევნების სავარაუდო გაყალბებაზე აქცენტი იყო, თუმცა არასათანადო მტკიცებულებების გამო ამ თემამ ვერ იმუშავა. კვალიფიციურ პარტიებს ყველა უბანზე ჰყავდათ საუბნო კომისიის წევრები/დამკვირვებლები, დამკვირვებლები ჰყავდათ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს, არჩევნებს უამრავი უცხოელი პოლიტიკოსიც აკვირდებოდა. ქვეყანაში, დაახლოებით, 3100 საარჩევნო უბნიდან შემაჯამებელ ოქმს ოპოზიციური პარტიებიდან დანიშნული ყველა საუბნო კომისიის წევრი აწერს ხელს! მხოლოდ 9 მათგანმა დაურთო შენიშვნები ოქმებს და ისინი ძირითადად პოლიტიკური ინტერესით იყო განპირობებული. დამეთანხმებით, რომ გაყალბებულ შედეგებს ხელს ოპოზიციონერი უბნის წევრები არ მოაწერდნენ, ან თუ მოაწერდნენ, ყველა ოქმს საფუძვლიან შენიშვნებს დაურთავდნენ. ამასთან, ყველაზე ავტორიტეტულმა საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციამ ეუთო/ოდირმა საქართველოს არჩევნები შეაფასა როგორც კონკურენტული და კარგად ორგანიზებული. რა თქმა უნდა, წინასწარ შეფასებაში იყო ცალკეულ დარღვევებზეც საუბარი, თუმცა ამ შენიშვნებს ისინი ყველა ქვეყნის არჩევნების შეფასების დროს წერენ და მას საბოლოო შედეგზე გავლენა არ მოუხდენია. არავინ საუბრობს იმაზე, რა უძღოდა წინ პრემიერ კობახიძის განცხადებას 2028 წლამდე ევროკავშირთან მოლაპარაკებების გახსნის საკითხის არდაყენებასა და მისგან სახელმწიფო ბიუჯეტისთვის გრანტის მიღებაზე უარის შესახებ. ეს იყო ევროკავშირის ელჩის, ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტ ბორელის განცხადებასა და წინა დღით მიღებულ ევროპარლამენტის რეზოლუციაზე პასუხი ევროინტეგრაციის შეჩერების შესახებ. ამასთან, საქართველოს პრემიერმა განაცხადა, რომ ამ 4-წლიან პერიოდში ქვეყანა საკუთარი სახსრებით გააგრძელებდა რეფორმების კურსს, რომელიც ევროკავშირში გაწევრიანების მოსამზადებლად განხორციელდება, 2028 წლიდან კი პრემიერი ევროკავშირთან მოლაპარაკებების დაწყებას, ხოლო 2030 წლისთვის ევროკავშირში გაწევრიანებას ვარაუდობს. ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელის ოფიციალური განცხადებით, ამ დრომდე ევროკავშირის გაფართოება დაგეგმილი არ არის. ევროკავშირში ინტეგრაცია დე ფაქტო შეჩერდა ევროკავშირის გადაწყვეტილებით, რის მიზეზადაც დასახელდა გამჭვირვალობისა და ოჯახური ღირებულებების შესახებ კანონების მიღება, რეალური მიზეზი კი საქართველოს დამოუკიდებელი საშინაო და საგარეო პოლიტიკაა. საქართველოს ხელისუფლებას სურს, ისე გაწევრიანდეს ევროკავშირში, რომ ამ პროცესმა ჩრდილი არ მიაყენოს ჩვენს უმთავრეს მონაპოვარს - საქართველოს დამოუკიდებლობას. ამისთვისაა საჭირო როგორც გამჭვირვალობის, ისე ოჯახური ღირებულებების შესახებ კანონები. თუ ვინმეს უჩნდება პროტესტი ევროკავშირში ინტეგრაციის შეჩერების გამო, პროტესტი უნდა მიმართოს ამ გადაწყვეტილების მიმღები ორგანიზაციისკენ - ევროკავშირისკენ, რომელსაც წარმოადგენს მისი საელჩო ჩვენს დედაქალაქში. მზად ვარ, ამ პროტესტს მეც შევუერთდე. იმედი მაქვს, ეს დროებითი გადაწყვეტილებაა და საქართველოს მიეცემა შესაძლებლობა, გააგრძელოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი თანასწორუფლებიანი მონაწილეობის პრინციპით, საქართველოს ნაციონალური ინტერესების გათვალისწინებით.

**- საზოგადოების დიდი ნაწილი თვლის, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა კანონის წინაშე პასუხი უნდა აგებინონ ყველას, ვინც ვანდალურად იმოქმედა, განსაკუთრებით მათ, ვინც ძალადობა ჩაიდინა, საპროტესტო აქციის მონაწილე იქნება ის თუ პოლიციელი, რადგან, პირველ რიგში, პოლიციას ევალება კანონისა და წესრიგის დაცვა. ამიტომ ეს აუცილებლადაა გამოსაძიებელი - თქვენი კომენტარი?**

- ძალიან მძიმე იყო საყურებლად როგორც მომიტინგეების, ისე, პოლიციის მხრიდან იძულებითი მეთოდების გამოყენება, თუმცა თუ გადავხედავთ ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და აშშ-ში მიტინგების დაშლის კადრებს და მას შევადარებთ რუსთაველის პროსპექტზე აქციების დაშლას, დავინახავთ, რომ ჩვენი პოლიცია გაცილებით ნაკლებ ძალას და სპეცსაშუალებებს იყენებდა, ვიდრე დასავლური. მაგალითად, ამ აქციებზე ქართულ პოლიციას არ გამოუყენებია რეზინის ტყვიები, რომელსაც აქტიურად იყენებს ბრიტანული, ამერიკული თუ ევროპული პოლიცია. ეს საშუალება გამოყენებული იყო გახარიას შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს. ალბათ დაგაინტერესებთ, რატომ არ იყენებდა თბილისურ მიტინგებზე გამოყენებულ მსგავს ძალას პოლიცია ბათუმში გამართულ აქციებზე. ამას ძალიან მარტივი ახსნა აქვს. არ ძალადობენ მომიტინგეები, არც პოლიცია იყენებს ძალას. გახსოვთ რუსთაველზე 2- დღიანი სიმშვიდე, როცა პოლიციას არანაირი იძულებითი მეთოდი არ გამოუყენებია, რადგან მომიტინგეები ამ 2 დღის განმავლობაში ატარებდნენ მშვიდობიან აქციას, არ ჰქონდათ პარლამენტში შეჭრის მცდელობა, არ ისროდნენ პიროტექნიკას, ქვებს, არ უკიდებდნენ ცეცხლს პარლამენტს, არ აგებდნენ სახელმწიფო ქონებისგან, ნაგვის ურნებისა და სკამებისგან ბარიკადებს, არ აგინებდნენ და არ შეურაცხყოფდნენ პოლიციელებს... მსგავს ფაქტებს სხვა დღეებში ჰქონდა ადგილი და ეს იწვევდა სპეცრაზმელებისგან ძალის გამოყენებას. იყო არაპროპორციული ძალის გამოყენების ფაქტები, თუმცა მას არ ჰქონია სისტემური ხასიათი. სპეცრაზმელებიც ადამიანები არიან და რთულია თავშეკავება იმ პირობებში, როცა აგრესიული მომიტინგეების ნაწილი შეურაცხყოფას გაყენებს, ცეცხლის ალში გხვევს. რა თქმა უნდა, ძალის არაპროპორციულ გამოყენებას ეს ბოლომდე ვერ ამართლებს. მას მოჰყვება, ალბათ, სამართლებრივი რეაგირება.

**- რას ფიქრობთ რიგგარეშე არჩევნების დანიშვნაზე, რამდენად გამართლებულია და თუ განმუხტავს სიტუაციას?**

- ვინც ითხოვს რიგგარეშე არჩევნებს, ერთხელაც არ აქვს წაკითხული საქართველოს საარჩევნო კოდექსი, ან წაკითხული აქვს და თანამოქალაქეებს ატყუებს. რიგგარეშე არჩევნები ტარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი ვერ აყალიბებს, ვერ ირჩევს მთავრობას. საქართველოს პარლამენტმა მოახერხა მთავრობის ფორმირება. რიგგარეშე არჩევნების გამოწვევა მხოლოდ ხელოვნურად შეიძლება, ანუ უნდა გადადგეს პრემიერი და „ქართული ოცნების“ უმრავლესობამ ხელოვნურად უნდა ჩააგდოს ახალი მთავრობის დამტკიცება. ამ ფაქტს მოჰყვება „ქართული ოცნების“ ამომრჩეველთა უკმაყოფილება, რომლებიც უმრავლესობას შეადგენენ. შესაბამისად, ეს ვერსია უტოპიაა. არ მესმის, რის საფუძველზე ითხოვს ოპოზიცია რიგგარეშე არჩევნებს, ან ეს ტექნიკურად როგორ და რატომ უნდა განხორციელდეს?! რიგგარეშე არჩევნები საქართველოში ვერ და არ ჩატარდება. ეს არის ოპოზიციის აბსურდული მოთხოვნა. ამასთან, მათ მოატყუეს საკუთარი ამომრჩევლები და უარს ამბობენ როგორც პარლამენტში, ისე უმაღლეს საბჭოში მანდატების დატოვებაზე. რამდენიმე მათგანმა დაწერა განცხადება პარლამენტისა და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სახელზე, თუმცა შეგნებულად, მიზანმიმართულად, იურიდიულად გაუმართავი, რათა მისი დაკმაყოფილება ვერ მოხდეს და ამ გზითაც მოატყუეს საკუთარი ამომრჩევლები. მათი საპარლამენტო და უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში ჩართვა დროის საკითხია. ისინი მომავალ წელს უკვე ფიზიკურად იქნებიან როგორც ზვიად გამსახურდიას სახელობის პარლამენტის, ისე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ტბელ აბუსერისძის სახელობის სხდომათა დარბაზებში. ეს ძალიან მძიმე მორალური და პოლიტიკური დარტყმა იქნება მათთვის, რადგან ოპოზიციურმა პარტიებმა საჯაროდ დადეს პირობა, რომ მანდატებით არ ისარგებლებდნენ და პარლამენტს, უმაღლეს საბჭოს არალეგიტიმური ორგანოები უწოდეს. ასეთი წინდაუხედავი ნაბიჯის გამო, მოუწევთ დაკარგონ ნდობა და შესაბამისად, ელექტორატის რაოდენობა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, რომელიც მომავალი წლის ოქტომბერში გაიმართება და მასში ყველა ბარიერგადალახული პოლიტიკური პარტია მიიღებს მონაწილეობას. მას მოქმედი ცესკოს ადმინისტრაცია ჩაატარებს.

**- მთავრობის მხრიდან კონსტიტუციის დარღვევაზე რას ფიქრობთ?**

- საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით საქართველოს პარლამენტი იკრიბება არჩევნების ოფიციალური შედეგების გამოცხადებიდან არა უგვიანეს მე-10 დღისა. პარლამენტი უფლებამოსილებას იძენს მისი წევრების 2/3-ის უფლებამოსილების ცნობის მომენტიდან, რაც პარლამენტის უმრავლესობამ, ანუ 76-ზე მეტმა დეპუტატმა გააკეთა. კონსტიტუცია არ დარღვეულა. ოპოზიცია მიუთითებს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის იმ მუხლს, რომელიც ამბობს, რომ თუ პარლამენტის წევრების არჩევის კანონიერება გასაჩივრებულია სასამართლოში, დეპუტატების უფლებამოსილების ცნობა ყოვნდება. კონსტიტუცია უფრო მაღალი იერარქიის მქონე ნორმატიული აქტია, ვიდრე კანონის ძალის მქონე პარლამენტის რეგლამენტი. ამასთან, კონსტიტუციის სულისკვეთებას, რომ ამომრჩეველთა უმრავლესობის ნება აისახოს არჩევითი ორგანოს ფუნქციონირებაზე, ვერ გადაწონის სასამართლოში წარდგენილი საჩივარი. კონსტიტუციის თანახმად, ძალაუფლების წყარო ხალხია, რომლის უმრავლესობამ ქვეყნის მართვა პოლიტიკურ პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს“ ანდო. ეს დადასტურებულია ეუთო/ოდირის ანუ ევროპის სადამკვირვებლო მისიის წინასწარი ანგარიშითაც.

**- ოპოზიციის გამარჯვების შემთხვევაში რამდენად რეალურია ომის საფრთხე?**

- ოპოზიციამ გამარჯვება უნდა სცადოს 2028 წლის არჩევნებზე, მანამდე ეს ვერ მოხდება. 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში, ოპოზიციური პარტიების წარმატების შემთხვევაში, დიდი იქნებოდა იმის ალბათობა, რომ ქვეყანა გარე აქტორებისა და მათი თანამონაწილეობით ჩართულიყო საომარ ოპერაციებში. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ არ ანდო მოსახლეობის უმრავლესობამ მათ ქვეყნის მართვის ბედი. გემახსოვრებათ, თუ როგორ ითხოვდნენ ისინი თბილისის აეროპორტიდან იმ თვითმფრინავის გაფრენის ნება დაერთოთ, რომელსაც ქართველი მოხალისეები უკრაინის ომში უნდა ჩაეყვანა. ისინი, ასევე, ითხოვდნენ უკრაინის არმიის მომარაგებას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი იარაღით, მათი პოლიტიკური მეგობრები ომის პარტიიდან გვთავაზობდნენ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ჩვენი არმიის „გასეირნებას“, ოკუპანტი რუსეთის მიმართ იმ აგრესიულ რიტორიკაზე აყოლასაც ითხოვდნენ, რომელიც ნატოს წევრ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს ჰქონდათ და ა.შ. ყველა ამ ქმედების ერთობლიობა გამოიწვევდა ხელახალ რუსულ აგრესიას ანუ ომს. ზოგადად, ქვეყანას არ უნდა ჰყავდეს ქვეყნის გარედან მართული ხელისუფლება, თუნდაც ეს მეგობარი, პარტნიორი ქვეყნები იყვნენ. უკრაინის მაგალითმაც გვიჩვენა, თუ რა შედეგებამდე შეიძლება მივიდეს სახელმწიფო მაიდნების, რევოლუციების გზით, გარე აქტორების მხარდაჭერილი პოლიტიკური ძალების ხელისუფლებაში მოსვლით. „ვარდების ხელისუფლების“ ანუ „დემოკრატიის შუქურის“ შედეგებს ხომ დღესაც ვიმკით, დამატებითი ტერიტორიების დროებითი დაკარგვის, უკანონო ბორდერიზაციის გამო. ეს აღარ უნდა განმეორდეს. საქართველოს პირველად ჰყავს ხელისუფლება, რომლის 12-წლიანი მართვის პირობებში ომი არ ყოფილა. ბოლო 12 წელიწადში ხომ რუსეთი არ შეცვლილა და ის კეთილშობილი ქვეყანა არ გამხდარა? პირიქით, უფრო აგრესიული სახელმწიფოა, თუმცა მოქმედ ხელისუფლებას არ მიუცია მისთვის საბაბი, დანარჩენ საქართველოში შემოჭრილიყო და დამატებითი ტერიტორიები წაერთმია. საქართველოს ხელისუფლების პრაგმატულ საგარეო პოლიტიკას ალტერნატივა არ აქვს. ამიტომაც არის ის რეკორდული, მეოთხე ვადით არჩეული.

# „მხარეები შერიგდებიან იმ შემთხვევაში, თუ მმართველი გუნდი დათანხმდება კომპრომისს“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*საქართველოში პოლიტიკური ტემპერატურა მაღალია, პროცესები დრამატულად ვითარდება, მწვავე დაპირისპირებაა დემონსტრანტებსა და სამართალდამცველებს შორის, რისი მიზეზიც, ოპოზიციის თქმით, მმართველი პარტიის გადაწყვეტილებაა ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის შეჩერებაზე, ასევე, გაყალბებული არჩევნები. თავის მხრივ, მმართველი გუნდი აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლებას არ უარუყვია ევროპული კურსი, ოპოზიციის მიზანი კი ქვეყნის ქაოსში გახვევა და მთავრობის დამხობაა*

*ექსპერტთა თქმით, თუ მხარეები კომპრომისს ვერ შეძლებენ, შესაძლოა, საქართველოს სახელმწიფოებრიობა მნიშვნელოვნად დაზარალდეს. ასე თუ ისე, ერთი რამ ცხადია: ჩვენი ქვეყანა სერიოზული გამოწვევების წინაშეა, აშშ-მა საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა შეაჩერა, ხოლო ევროპარლამენტმა საქართველოსთან მიმართებით რეზოლუცია მიიღო, რომლის ერთ-ერთი რეკომენდაცია ახალი არჩევნების ჩატარებაა.*

*რა პროცესები მიმდინარეობს ქვეყანაში და რას უნდა ველოდოთ? - ამის თაობაზე გვესაუბრება ჰამბურგის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრანტი, საქართველოს საზოგადოების საქმეთა ინსტიტუტის (ჯიპა) დოქტორანტი, პოლიტოლოგი* ***კობა ჯუმუშაძე.***



**- როგორ დაახასიათებთ საქართველოში მიმდინარე პროცესებს?**

- ფაქტობრივად ღრმა პოლიტიკურ კრიზისში ვიმყოფებით და ეს არ დაწყებულა მხოლოდ 28 ნოემბერს, ის წლებია, გრძელდება, განსაკუთრებით - 2022 წლის თებერვლიდან, როდესაც დაიწყო მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მოვლენა (რუსეთის აგრესია უკრაინის მიმართ) და მსოფლიო გეოპოლიტიკურ არენაზე გამოიკვეთა, ერთი მხრივ, დასავლეთი - ლიბერალური დემოკრატია და, მეორე მხრივ, კრემლის ავტოკრატიული, დიქტატორული რეჟიმი. შესაბამისად, პატარა ქვეყნებს, მაგალითად, საქართველოს, ქართულ პოლიტიკურ ისტებლიშმენტს ამ შემთხვევაში მოუწია მხარის არჩევა. სამწუხაროდ, ჩვენი ისტებლიშმენტი (არ ვიცი, რა მიზეზით) რაღაც მომენტში აღმოჩნდა კრემლის გავლენის ქვეშ და განავრცო ის ნარატივი, რომელიც ჩრდილოეთიდან მოდიოდა, ანუ როდესაც დადგა დრო, ყველაფერს დარქმეოდა თავისი სახელი (რუსეთი აგრესორია, რუსეთი შეიჭრა უკრაინაში, უკრაინელი ხალხი ჩვენი მეგობარია) - ხელისუფლების მხრიდან ნაკლებად ისმოდა ასეთი მესიჯები.

**- ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ პრაგმატულ პოლიტიკას აწარმოებენ რუსული აგრესიის თავიდან ასაცილებლად...**

- ეს არის ილუზორული მესიჯები და გეტყვით, რატომ: „ქართულ ოცნებას“ და, ზოგადად, ჩვენს ხელისუფლებას არანაირად არ აქვს გავლენა კრემლის გადაწყვეტილებებზე. კრემლი თუ გადაწყვეტს, ომი აწარმოოს რომელიმე ქვეყანასთან, სულ ერთია, ეს იქნება მოლდოვა, უკრაინა თუ საქართველო, ვერცერთი პარტიული ფუნქციონერი აქ - საქართველოში ვერ შეეწინააღმდეგება ამას. გასაგებია, რომ დიპლომატია საჭიროა რუსეთთან, თუმცა გაუღიზიანებლობის პოლიტიკით მშვიდობის შენარჩუნება ეფემერული წარმოდგენაა. რაც უნდა მოუჩლიქო კრემლს ენა, თუ ის გადაწყვეტს, რომ დღეს საქართველოში შემოვიდეს, შემოვა. ასე რომ, ეს ჩვენზე არაა დამოკიდებული. სამწუხაროდ, მმართველი პარტია აღმოჩნდა კრემლის ინტერესების გამტარებელი, შესაბამისად, ქვეყანაში, 2022 წლიდან მოყოლებული, პოლიტიკური კრიზისი თანდათან მწვავდებოდა, პიკს კი 28 ნოემბერს მიაღწია, როდესაც პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ღიად განაცხადა, რომ აჩერებს გაწევრიანების გახსნაზე მოლაპარაკებებს ევროკავშირის სტრუქტურებთან. ეს არის ერთგვარი ხელის აქნევა, მაგიდის აყირავება, რაზეც, ბუნებრივია, ქართველ ხალხს მწვავე რეაქცია ჰქონდა.

**- ვხედავთ, რომ ქვეყანაში არ წყდება პროტესტი. რა გველის?**

- პროცესები კიდევ უფრო გამწვავდება. თუ მმართველ გუნდს მიაჩნია, რომ ის ყველაზე პოპულარული ძალაა ქვეყანაში, მაშინ მან უნდა გამოიყვანოს კრიზისიდან ქვეყანა. რა იგულისხმება ამაში? ის, რომ პროტესტანტებს აქვთ სამი ძირითადი მოთხოვნა: პირველი - გათავისუფლდნენ უკანონოდ დაკავებული ადამიანები; მეორე - ჩატარდეს ხელახალი არჩევნები; მესამე - გაგრძელდეს ევროპული გზა. შესაბამისად, თუ ამ მოთხოვნებს გაითვალისწინებს „ქართული ოცნება“, კრიზისი ჩაცხრება, ეს ჩვეულებრივი, აპრობირებული მეთოდია ევროპულ ქვეყნებში. არსებობს მეორე მეთოდი - კიდევ უფრო მეტი ზეწოლა პროტესტზე და ამით პრობლემის გადაწყვეტის მცდელობა, თუმცა ეს ბელარუსის გზით წაგვიყვანს. უკვე გვესმის ტერმინები - ხალხის მტერი, საზოგადოების მტერი და ასე შემდეგ. რაც კიდევ გაღრმავდება და ღრმა კრიზისში შევალთ.

**- მმართველი გუნდი აცხადებს, რომ ოპოზიცია დესტრუქციული ძალაა, რომლის მიზანია სახელმწიფო გადატრიალება...**

*„ქართულ ოცნებას“ და, ზოგადად, ჩვენს ხელისუფლებას არანაირად არ აქვს გავლენა კრემლის გადაწყვეტილებებზე. კრემლი თუ გადაწყვეტს, ომი აწარმოოს რომელიმე ქვეყანასთან, სულ ერთია, ეს იქნება მოლდოვა, უკრაინა თუ საქართველო, ვერცერთი პარტიული ფუნქციონერი აქ - საქართველოში ვერ შეეწინააღმდეგება ამას. გასაგებია, რომ დიპლომატია საჭიროა რუსეთთან, თუმცა გაუღიზიანებლობის პოლიტიკით მშვიდობის შენარჩუნება ეფემერული წარმოდგენაა*

- ოპოზიცია რომ გარკვეულ შეცდომებს უშვებს და „ნაციონალური მოძრაობა“ კომპრომეტირებული ძალაა, ეს ფაქტია და ამაზე აგებს პოპულარობას მმართველი პარტია. მას უნდა, იყოს პოპულარული იმით, რომ სხვა ცუდია. ეს, რა თქმა უნდა, მოაზროვნე პოლიტიკოსისთვის არ არის გამამართლებელი საბუთი. შესაბამისად, ხელისუფლების ვალდებულებას წარმოადგენს არა ოპოზიციის გაშავება, არამედ კონსტიტუციურ ჩარჩოებში დარჩენა და ამ კონსტიტუციური ჩარჩოების დაწესება ყველასთვის.

**- „საჭიროა დიალოგის ფორმატი, აუცილებელია კომპრომისები, რომ ქვეყანა არ დაინგრეს“, - განაცხადა ექსპერტმა მამუკა არეშიძემ. თქვენ რას ფიქრობთ?**

- მხარეები შერიგდებიან იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტის მედიაციითა და ოპოზიციის ჩართულობით მმართველი გუნდი დათანხმდება ახალი, ვადამდელი არჩევნების დანიშვნას. ყველა სხვა შემთხვევაში საპროტესტო მუხტი არ ჩაცხრება. ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა უღელქვეშ იტანჯებოდა ჩვენი ქვეყანა და ეს ტკივილი შემორჩენილია. კრემლს სურს საბჭოეთის აღდგენა, რასაც ამ პროცესებით ხელს უწყობს მმართველი პარტია. შესაბამისად, ამას აღარ დათანხმდება ქართველი ხალხი.

**- საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ არ აღიარებს არსებულ ხელისუფლებას და ახალ საპარლამენტო არჩევნებამდე თანამდებობას არ დატოვებს.**

- 14 დეკემბერს უნდა მოხდეს პრეზიდენტის არჩევა ხმოსნების მიერ და 29 დეკემბერს - ინაუგურაცია, მაგრამ რამდენადაც საქართველოს ხელისუფლება გასულია კონსტიტუციური ჩარჩოებიდან, უგულებელყოფს 78-ე მუხლს, პროტესტი გაგრძელდება. მისი ერთ-ერთი მიზეზი პრეზიდენტობის კანდიდატად მიხეილ ყაველაშვილის დასახელებაა. ალბათ მმართველ გუნდშიც მოულოდნელი იყო ეს. ამ შემთხვევაში ივანიშვილმა გააკეთა ასეთი არჩევანი. პროტესტის მიზეზი ესეც არის. ქართველ ხალხს არ ახსოვს ისტორიაში, რომ ასეთი ანტიდასავლურად განწყობილი ადამიანი ყოფილიყო პრეზიდენტი და ჯარის მთავარსარდალი, შესაბამისად, ეს მუხტიც ქმნის ამ პროტესტს. 14 დეკემბერს იქნება ამ პროტესტის ტალღის პიკი. სასურველია, ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიაროს, ხელისუფლებას ძალიან უნდა პროტესტის კომპრომეტირება, თუმცა პირველი, ვინც ძალა გამოიყენა, თავად იყო, ამიტომ არ უნდა უკვირდეს, თუ მოქალაქეები გააპროტესტებენ ძალადობას.

**- რამდენად მოსალოდნელია, საქართველოს პრეზიდენტი გახდეს ამ პროტესტის ლიდერი და მის გარშემო გაერთიანდეს პოლიტიკური სპექტრი?**

- სხვათა შორის, საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ამ ხნის განმავლობაში ითავა ლიდერის ფუნქცია, პრეზიდენტი არ არის არაპოპულარული ახალგაზრდებში, თუმცა ყველას შეიძლება არ მოსწონდეს. მან გამოავლინა პოტენციალი, იყოს ერთგვარი ლიდერი. ამ პროტესტის ხიბლი იმაშიც მდგომარეობს, რომ პოლიტიკური პარტიების ლიდერები ვერ დგებიან პროტესტის სათავეში, რადგან ეს არის აბსოლუტური გულწრფელი პროტესტი საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ჩართულობით. შესაბამისად, პრეზიდენტს შეუძლია ამის გაკეთება. სავარაუდოდ, ჩამოყალიბდება პროტესტის მართვის საბჭო, რომელიც ყოველდღიურად გაახმოვანებს გეგმას, რა შეიძლება მოცემულ დღეს გაპროტესტდეს და რატომ.

**- ექსპერტთა ნაწილი აცხადებს, რომ ოთხმა ოპოზიციურმა პლატფორმამ მოახდინა ამ პროტესტის პრივატიზება. მათივე თქმით, სხვა პარტიებიც უნდა ჩაერთონ პროცესებში...**

- ოთხი ოპოზიციური პლატფორმა იმიტომ აქტიურობს, რომ მათ გადალახეს საარჩევნო ბარიერი, შესაბამისად, ამ პროცესში მონაწილე ადამიანების გარკვეული ნაწილი მოდის ამ პარტიებიდან. რა თქმა უნდა, ბევრი პარტია უნდა იყოს ჩართული, თუმცა ამ ოთხ პარტიას აქვს ლეგიტიმური უფლება, რომ თავისი ინტერესები ჰქონდეს, ვინაიდან ისინი არიან პროდასავლური პარტიები. პროტესტი იმდენად გულწრფელია, რომ ეს ოთხი პარტია აღარ ჩანს.

**- საგარეო საკითხსაც შევეხოთ: კოლექტიურმა დასავლეთმა (რამდენიმე ქვეყნის გარდა) არ აღიარა საქართველოს არჩევნების ლეგიტიმურობა...**

- ეს იმის მანიშნებელია, რომ ისინი გამადიდებელი შუშით აკვირდებიან საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. ჩვენთან ვინმეს თუ ჰგონია, რომ როგორც 2020 წელს (მაშინ უკრაინის ომი დაწყებული არ იყო), ახლაც პარტიები შევლენ პარლამენტში, ცდება, მსგავსი რამ არ მოხდება, პროტესტი არ ჩაცხრება. იმ დროს მმართველ პარტიას არ ჰქონდა კრემლთან ურთიერთობის მზაობა, შესაბამისად, პროტესტის ტალღა ჩაცხრა, მაგრამ ახლა ფიქსირდება კრემლთან ურთიერთობის ღია მზაობა. თავის მხრივ, კრემლი დასავლეთთან ბრძოლაშია შესული. როგორც ცნობილია, დასავლეთი არ აღიარებს ამ არჩევნებს და ასეც დარჩება, სანქციების პაკეტებზეა საუბარი, კერძოდ, პერსონალურ სანქციებზე და თუ ხელისუფლება ამ ქვეყანას გაწირავს, საბოლოოდ დაუქვემდებარებს კრემლს, ალბათ ამ სანქციების ნაწილი იქნება უვიზო მიმოსვლის შეჩერება საქართველოსთან, რაც კატასტროფა იქნება ქვეყნისთვის.

**- ნიდერლანდებმა მოუწოდა ევროკავშირს ამისაკენ...**

- ეს თუ მოხდა, სავალალო იქნება ჩვენი ქვეყნისთვის და დამანგრეველი - თითოეული ჩვენგანისთვის. ეს ნიშნავს საქართველოს რუსეთის პირისპირ მარტო დატოვებას, რომელიც არა მხოლოდ შემოვა სამხედრო ნაწილებით, არამედ შეეცდება ქვეყნის სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიყვანას. ვფიქრობ, ევროპელ ლიდერებს ეყოფათ გონიერება და სანქციები იქნება მხოლოდ პერსონალური, ანუ ამ კრიზისში შემყვანი ადამიანები მყავს მხედველობაში და ამას არ ექნება ქვეყნის დასჯის ხასიათი.

**- აშშ-მა საქართველოსთან სტრატეგიული პარტნიორობა შეაჩერა. ეს დროებითია?**

- გააჩნია, როგორ განვითარდება მოვლენები ჩვენთან. ამ ეტაპზე ამას შეჩერება ჰქვია, შესაბამისად, ისინი წყვეტენ ყოველგვარ მხარდაჭერას როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური და სამხედრო კუთხით. ვიცით, ქართული ჯარი რომ გვყავს, სწორედ ამერიკელების დამსახურებაა, შესაბამისად, ეს ყველაფერი შეჩერებულია ამ ეტაპზე. გარდა ამისა, აშშ-ის სენატი განიხილავს იმასაც, რომ თუ ეს ხელისუფლება დარჩება მმართველობაში, ხელს აიღებენ საქართველოზე, რაც ნიშნავს, რომ გადაერთვებიან სხვა, უფრო მნიშვნელოვან პრობლემებზე. ამ ფონზე უფრო მნიშვნელოვანი პრობლემა უკრაინაა. თუ საქართველო ხელს აუქნევს ამერიკას, დარჩება რუსეთთან პირისპირ. საუბარია ასევე ჩინეთზე, აშშ-ისთვის ნომერ პირველ საგარეო პრობლემად ჩინეთის მზარდი ეკონომიკა განიხილება, რაც კიდევ უფრო მეტად გაამწვავებს საქართველოს ურთიერთობას ამერიკასთან.

**- პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ ის აშშ-ის ახალ ადმინისტრაციასთან კარგ ურთიერთობას დაამყარებს...**

- მმართველ პარტიას იმედი აქვს, რომ ტრამპი მოვა და საქართველოს ხელისუფლებას მხარს დაუჭერს იმ პოლიტიკურ ქმედებაში, რასაც აქამდე ჰქონდა ადგილი, თუმცა ამის ალბათობა ნაკლებია, რადგან ტრამპი, ზოგადად, შეთანხმების ადამიანია. ის, პირველ რიგში, უკრაინის მოვლენას გამოეხმაურება (გადაჭრის თუ არა, სხვა საკითხია). ასევე, არსებობს ჩინეთის საკითხი, ჩვენი ხელისუფლება მასა და „ბრიკსთან“ სტრატეგიულ პარტნიორობას განიხილავს. ამ ბოლო დროს ტრამპმა ახსენა „ბრიკსის“ არსი და წინაღობა ამერიკასთან შეუთანხმებლობის კუთხით, შესაბამისად, ეს ყველაფერი ვერ იქნება სიმბიოზში მმართველი პარტიის პოლიტიკასთან, რომელიც ცდილობს აზიურ ეკონომიკურ კავშირებში გაერთიანებას. ტრამპის პრიორიტეტია ჩინეთთან თავისი ძალის დემონსტრირება და თუ ჩვენ აშშ-ზე უფრო ახლოს ჩინეთთან აღმოვჩნდით, ტრამპის იმედი ტყუილად აქვს არსებულ ხელისუფლებას.

**- გვერდს ვერ ავუვლით უკრაინას...**

- ახლა პოზიციური ბრძოლები მიმდინარეობს, გერმანელები ამას ეძახიან Abnutzungskrieg - ომი რესურსების ამოწურვამდე, სანამ მხარეები ერთურთს ბოლომდე ებრძვიან, მაგრამ ნიშანდობლივ ტერიტორიულ ან სამხედრო გამარჯვებას ვერცერთი აღწევს. მოკლედ, ვისაც ეყოფა გამძლეობა, ამ გამოწვევებს ბოლომდე გაუძლოს, ის იქნება ძირითადი ნაწილის წამღები ამ ომიდან. ჩვენ ისიც უნდა ვთქვათ, უკრაინას ნაკლები რესურსები აქვს, თუმცა მას დასავლეთი ჰყავს გვერდით, რუსეთის გვერდით კი დგას ჩრდილოეთ კორეა, ირანი, რომელთა რესურსები უფრო მწირია, ვიდრე დასავლეთის. დასავლური ლიბერალური მანქანა ნელა მუშაობს, მაგრამ საფუძვლიანად. ეს ომი დღეს და ხვალ ვერ დასრულდება. ყველაფერი დამოკიდებულია არა მხოლოდ ამერიკაზე, არამედ ევროპაზეც. ევროპის ლოკომოტივი ქვეყანა გერმანიაა. იქ ხელისუფლების გარდამავალი პერიოდია, თებერვალში უნდა გაიმართოს არჩევნები და საბოლოოდ გადაწყდეს გერმანიის პოზიცია უკრაინასთან მიმართებით. ეს ყველაფერი ახანგრძლივებს ომს, ამიტომ რთულია იმის თქმა, რომელი ფაზისკენ მიდის საბოლოოდ ეს ყველაფერი.

**- დაბოლოს, ყოველი დიდი ომის შემდეგ ყალიბდება ახალი მსოფლიო წესრიგი. საქართველო დასავლეთის ქოლგის ქვეშ რომ აღმოჩნდეს, ხელისუფლებამ რა უნდა გააკეთოს?**

- უნდა მიჰყვეს კონსტიტუციის 78-ე მუხლს, ეს არის მთავარი ამოცანა, რათა საქართველო არ აღმოჩნდეს იზოლაციაში. რატომ დაიწყო რუსეთ-უკრაინის ომი? იმიტომ, რომ რუსეთმა იგრძნო - უკრაინის სახით პროგრესული ქვეყანა უახლოვდებოდა. იქ ჩანასახშივე ჩანდა ლიბერალური დემოკრატიის ნიშნები, ნელ-ნელა მიდიოდა კორუფციასთან ბრძოლა, მოხდა უკრაინის ასოცირება ევროკავშირთან, ანუ ცივილიზაცია უახლოვდებოდა და მათ ავტოკრატიას საფრთხე ექმნებოდა. ამიტომაც რუსეთი აჩენს ბრჭყალებს, მას ხელს განვითარება კი არა, დერჟავული, იმპერიალისტური შეხედულების განვითარება აძლევს და ამას სანამ შეძლებს, გააკეთებს. ჩვენ გვიწევს ბეწვის ხიდზე სიარული, გონივრულად, თანმიმდევრულად, რათა კვლავ არ აღმოვჩნდეთ რამდენიმე ასეული წლის განმავლობაში კრემლის მარწუხებში.

# აჭარის ფოლკლორის მოყვარულისა და თანამდგომის კიდევ ერთი აღიარება

*ნანა ვალიშვილი 38 წელია ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში მოღვაწეობს. ამაგდარ ხელოვანსა და მკვლევარს გაწეული შრომა დაუფასეს. იგი ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილედ დაინიშნა*



- ვარ ეთნომუსიკოლოგი, მომღერალი, ლოტბარი, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მუსიკალური ხელოვნების მიმართულებას ვხელმძღვანელობდი, ასევე, ვარ ექსპერტი სამუსიკო ფოლკლორის დარგში, პოლონეთის ქალაქ ნოვი სონჩის ბავშვთა ყოველწლიური საერთაშორისო ფესტივალ „მთის ბავშვების დღესასწაულის" სამხატვრო საბჭოს წევრი (2019 წ.), დამაჯილდოვეს ღირსების ორდენით.

**- გაზეთ „აჭარის" ჟურნალისტებისა და მკითხველების სახელით გილოცავთ ახალ თანამდებობაზე დანიშვნას.**

- დიდი მადლობა, დღემდე ერთი წუთითაც არ გამნელებია ამ კუთხეში არსებული უნიკალური ფოლკლორისადმი ყურადღება და თანადგომა. წელიწადის ნებისმიერ დროს ჩამოვდივარ. ის ზამთარი მახსენდება, როცა ეთერ თათარაიძესთან ერთად შუახევში გამართულ ფოლკლორის საღამოს სახელწოდებით „ტრადიციების კვალდაკვალ" ვესწრებოდი. მუნიციპალიტეტის ყოფილი მერი ფრიდონ ფუტკარაძე, კულტურის ცენტრის მაშინდელი დირექტორი მაკა მაკარაძე, ღონისძიების მონაწილენი გვეფერებოდნენ, ცდილობდნენ მეტი ფოლკლორული ნიმუშები წარმოეჩინათ. საქმიანი ურთიერთობები მაკავშირებს ანსამბლ „შუახევის" მომღერლებთან. ისინი ჩვენს რჩევებს ითვალისწინებენ. ჩვენივე რეკომენდაციით, გასტროლი ჰქონდათ ისრაელში. მართალია, ვახტანგ ბერიძე ახლა სხვა თანამდებობაზე მუშაობს, მაგრამ ის და მწერალი, კულტურის ცენტრის დირექტორის მოადგილე ვახტანგ გოგრაჭაძე ბევრს აკეთებენ აჭარაში ეროვნული ფოლკლორის წარმოჩენისთვის.

**- თქვენ საქმიანი ურთიერთობები გაკავშირებთ ბათუმთან და აჭარის მუნიციპალიტეტებთან...**

- რეგულარულად ვმონაწილეობ ქვეყანასა და აჭარაში გამართულ სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში, გამოქვეყნებული მაქვს ნაშრომები და საგაზეთო სტატიები სხვადასხვა პროფესიულ პრობლემაზე. გაშიფრული და ნოტებზე გადატანილი მაქვს მრავალი ხალხური სიმღერა, მათ შორის, ქობულეთში, ხულოში, იგივე შუახევში არსებული. ვარ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუსიკის სახელმძღვანელოს თანაავტორი (2006 წლიდან, I კლასი) და პასუხისმგებელი რედაქტორი (II-III კლასი), რომლებითაც აჭარის სკოლების მოსწავლეებიც სარგებლობენ. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ გამოცემული მონოგრაფიების, ბროშურების, სანოტო კრებულებისა და კომპაქტდისკების ავტორ-შემდგენელი, მუსიკალური რედაქტორი და შემოქმედებითი ჯგუფის წევრი. ტრენინგებისა და მასტერკლასების ჩატარების ოცდაათწლიანი გამოცდილება მაქვს საქართველოს ბავშვთა და მოზრდილთა ფოლკლორულ ანსამბლებთან და ლოტბარებთან. არც აჭარა დამრჩენია ყურადღების მიღმა. სხვადასხვა დროს ვმუშაობდი სამუსიკო და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სამუსიკო კოლეჯში ხალხური სიმღერის პედაგოგად. აჭარაში და ქვეყნის მასშტაბით არაერთი ფოლკლორული ექსპედიციის ორგანიზატორი და მონაწილე, ბავშვთა და მოზრდილთა სხვადასხვა რანგის ოლიმპიადა-კონკურსისა და ფესტივალის ჟიურის წევრი და თავმჯდომარე ვარ. მადონა თევზაძის და სხვათა სახით აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში მეგობრები, ეროვნული ფოლკლორის მკვლევარები მეგულება. რეგულარულად ვუწევ შემოქმედებით კონსულტაციას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოქმედ ფოლკლორულ და საოჯახო ანსამბლებსა და ინდივიდუალურ შემსრულებლებს. ანალოგიურ კონსულტაციებზე მრავალგზის ვიყავი ბათუმსა და სხვა რაიონებში.

**- უცხოეთშიც კარგად გიცნობენ....**

- უცხოელებისთვის ქართული ხალხური სიმღერის სწავლების დიდი გამოცდილება შევიძინე. ეს ქვეყნებია: საფრანგეთი, გერმანია, ჰოლანდია, ბელგია, დიდი ბრიტანეთი, ფინეთი, ლატვია...

**- ანსამბლ „მზეთამზეში" ყოფნას როგორ აფასებთ? რას გააკეთებთ, რომ ბათუმშიც იყოს ანალოგიური ანსამბლი?**

- ბათუმს და, საერთოდ, აჭარას ანსამბლები მრავლად ჰყავს. მათ საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს, თუმცა მიღწეულით არ უნდა ვკმაყოფილდებოდეთ. ჩემი მიზანია, ამ თანამდებობაზე მუშაობისას კეთილი კვალი დავტოვო. შუახევში მოქმედებს ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „ნაი", ქედაში - „იაგუნდი". ხულოშიც ვაშლოვანელ ქალთა ანსამბლს კარგი სახელი აქვს. თუ ვინმესგან კიდევ მზაობა წამოვა, ფოლკლორის ეროვნული ცენტრისგან თანადგომა იქნება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩემი პოზიციაა ხალხში გაბნეული მარგალიტების მოძიება და საზოგადოების წინაშე წარდგენა. რაც შეეხება ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ „მზეთამზეს", 1986 წელს დაარსდა, მისი უცვლელი წევრი ვარ. ამ ანსამბლმა პირველად ქართულ სინამდვილეში, ქართველ ქალთა ტრადიციული რეპერტუარი აღადგინა და ავთენტური საშემსრულებლო ტრადიციების დაცვით სცენაზე გააცოცხლა. კარგად ვუკრავ და ვასწავლი ფანდურზე, ჩონგურზე დაკვრას. ჩემი ხელმძღვანელობით, მოხევე ახალგაზრდებისგან 2007 წელს შეიქმნა ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „ჯვარული", რომელმაც აღადგინა და აღმოსავლეთ საქართველოს-მთიანეთის კუთხეს - ხევს (ყაზბეგის რაიონი) დაუბრუნა ტრადიციული მოხევური ხალხური სიმღერები. ვხელმძღვანელობ ბოლნისის ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ „ბოლნელას", რომელთან ერთადაც გახლდით „ხინოწმინდობის" სახალხო დღესასწაულზე. 2002 წლიდან ედიშერ და გიგი გარაყანიძეების სახელობის ბავშვთა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული სტუდიის „ამერ-იმერის" პედაგოგი და თბილისის მოციქულთა თავთა წმინდა პეტრესა და პავლეს სახელობის ტაძრის მგალობელ-რეგენტი ვარ.

**- ალბათ ასეთი სახელოვნებო და სამსახურებრივი დატვირთვის ფონზე, აჭარისთვის დრო ნაკლები დაგრჩებათ.**

- პირიქით, ახალი თანამდებობა მეტს მავალდებულებს, საქმიანი კონტაქტები გაღრმავდება იმ სახელოვან ხელოვანებთან, ფოლკლორულ ანსამბლებთან, რომლებიც წლებია, აჭარის მთისა და ზღვისპირეთის სოფლებში, რაიონებში არიან. აჭარა ჩვენი ფოლკლორის სავანეა. წინა საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული, საქმიანი ურთიერთობები მქონდა აჭარაში მომუშავე ანსამბლების ხელმძღვანელებთან, წევრებთან. 90 წელსაა მიტანებული ანსამბლ „შუახევის" წევრი ოთარ დავითაძე. მის საშემსრულებლო მანერას ნახევარი საუკუნეა ვიცნობ. ასევე ვიცნობდი მისი ძმის - ალიოსმან დავითაძის ინდივიდუალურ ცეკვებსა და სიმღერებს. ჩვენი ვალია, გავაგრძელოთ ანზორ ერქომაიშვილის და სხვების დიდი საქმეები და ასეც იქნება.

# „იქ უნდა იყო, სადაც ადამიანებს შენი სპეციალობა, უნარი სჭირდებათ"

*წლევანდელ „შუახევობის" სახალხო დღესასწაულზე „საპატიო შუახეველის" წოდება მიენიჭა სააქციო საზოგადოება „საქართველოს კლინიკების" შუახევის კლინიკის გადაუდებელი მედიცინის ექიმ ნატო ბეჟანიძეს. იგი შუახეველი ექიმი ქალებიდან პირველია, ვისაც ახალგაზრდულ ასაკში მიენიჭა ეს წოდება*



- ჩემი ბავშვობა, სკოლაში სწავლის წლები არაფრით გამოირჩეოდა თანატოლი გოგო-ბიჭების ყოველდღიურობისგან. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ პედაგოგი მშობლების - გულნარა ბერიძისა და შოთა ბეჟანიძის წყალობით, წიგნებს ადრე დავუმეგობრდი. საუბრის დასაწყისშივე გეტყვით, რომ სამსახურებრივი და ოჯახური დატვირთვის მიუხედავად, წიგნებს ახლაც ვკითხულობ. მიტაცებს ისტორიული და დეტექტიური რომანები.

**- ექიმის პროფესია თავად აირჩიეთ თუ „ძალდატანებაც" იყო?**

- არავითარი ძალდატანება. ბაბუის ძმას, ცნობილ ექიმ თემურ ბეჟანიძეს ჯერ შუახევში, შემდეგ კი თბილისში წარმატებული დასტაქრის სახელი ჰქონდა. მას არც ჩემი თაობის ექიმი ბონდო ბეჟანიძე ჩამორჩებოდა. მათ საქმიანობას ვაკვირდებოდი. დავამთავრე თუ არა ჭვანის საშუალო სკოლა, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სამკურნალო სპეციალობის სტუდენტი გავხდი. რეზიდენტურა თბილისში გავიარე და 2010 წლიდან შუახევში ვსაქმიანობ.

**- მთა ყოველთვის განიცდიდა ექიმების ნაკლებობას...**

- როგორც უნდა გაგიკვირდეთ, ჩემი სურვილი იყო მთაში წამოსვლა, მით უმეტეს, რომ ბათუმში დაბადებულ და გაზრდილ ჯუმბერ გოგაძეზე ვარ გათხოვილი. მამამთილი ნუგზარ გოგაძე ერთ დროს საკმაოდ ცნობილი პიროვნება გახლდათ. იგი არჩეული იყო საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. ყველგან ჰყავდა მეგობრები, მაგრამ მაინც მირჩია მთაში მუშაობა. არც არაფერი წამიგია. შუახევის რაიონულ საავადმყოფოში, ანზორ მიქელაძით დაწყებული, კვალიფიციური ექიმები დამხვდნენ. ახლაც 10-მდე ექიმთან ერთად შუახევის კლინიკაში ვმუშაობ. სამუშაო საათები და განრიგი ჩემთვის უცხოა. ღამის საათებშიც მივდივარ სტაციონარში, თუ ამის აუცილებლობაა. 12 წლის განმავლობაში მრავალი შემთხვევის დასახელება შემიძლია, როცა პაციენტი სიკვდილის ზღვარზე ყოფილა და ოპერატიული ჩარევით გადამირჩენია. ყველაზე კრიტიკული დღეები კოვიდ-19-ის პერიოდში გვქონდა. შუახევის ქუჩებში, თუნდაც სოფლებში რომ გავივლი, მოწიწებით მესალმებიან, მადლობას მიხდიან იმ დღეებისთვის. მე ისინი არ მახსოვს, მაგრამ მათ ვახსოვარ.

**- გაწეული შრომის ერთგვარი დაფასება იყო „საპატიო შუახეველად" თქვენი არჩევა.**

- ვაღიარებ, რომ ეს წოდება მოულოდნელი იყო. ადამიანი როცა შრომობ, გაწეული ამაგის დაფასებაზე მნიშვნელოვანი არაფერია, ჩემს ასაკში „საპატიო შუახეველის" წოდება, ჯერჯერობით, არცერთი ქალისთვის არ მიუნიჭებიათ. ზეიმის წამყვანმა ჩემი გვარი რომ გამოაცხადა, აღარც კი მახსოვს, როგორ მივაღწიე სცენამდე. წინა დღით გამაფრთხილეს, ზეიმს დაესწარიო. შვილისა და მეუღლის თანხლებით მივედი... შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ აღიარება მომილოცა და დიპლომიც მანვე გადმომცა. მწერალ რევაზ ჭაღალიძესთან, ბიზნესმენ ვაჟა დავითაძესთან, ხელოვან პაატა ჭურკვეიძესა და სხვებთან ერთად, ეს აღიარება დიდ პატივად მიმაჩნია. ერთ-ერთი შვილი სასკოლო ასაკის რომ გახდა, ბათუმში გადასვლა გადავწყვიტე, მაგრამ ეს სურვილი რამდენიმე წლით გადავავადე. იქ უნდა იყო, სადაც ადამიანებს შენი სპეციალობა, უნარი სჭირდებათ. ამ ეტაპზე ჩემთვის ასეთი ადგილი შუახევია.

**- ვისი თანადგომა დაგამახსოვრდათ?**

- უფრო ადრე ვისურვებდი შუახევიდან წამოსვლას, რომ არა ბატონ ფრიდონ სირაბიძის კოლეგიალური, დამრიგებლური დამოკიდებულება. ჩვენ რამდენიმე წელი შუახევში ერთად ვიმუშავეთ. ერთ მომენტსაც ვერ გავიხსენებ, რომ იგი პაციენტებთან, თანამშრომლებთან ურთიერთობაში გაწონასწორებული არ ყოფილიყო. ცდილობდა სხვების საქმისა და სახელის წარმოჩენას, ყველასთან საერთო ენის გამონახვას. ასეთ ხელმძღვანელთან მუშაობას ყოველთვის ვისურვებდი.

**- ოჯახში ოთხი და გაიზარდეთ. ერთი თურქეთის რესპუბლიკაშია გათხოვილი. ეროვნებით თურქი სიძე როგორ მიიღო ჭვანელი ბეჟანიძეების ოჯახმა?**

- ასეთ სიძეს ყველა ოჯახი ინატრებდა. წელიწადში ერთხელ მეუღლესა და შვილებთან ერთად ჭვანაში ჩამოდის. არა მარტო ჩვენი გვარი, მთელი სოფელი ზეიმობს მათ ჩამოსვლას. ცდილობს, ქართულ ადათ-წესებს მოერგოს. ორი და გასათხოვარია. მშობლებიც და მეც უფალს ვევედრებით, ასეთი სიძეები და მოყვარე გვარგუნოს.

**გვერდი მოამზადა**
**ოთარ ცინარიძემ**

# ინტერვიუ... ხელოვნურ ინტელექტთან

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

*მსოფლიოს განვითარებასთან ერთად, იხვეწება ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობებიც. ის ახლა გაცილებით ჭკვიანია, ვიდრე რამდენიმე წლის წინ, თუმცა სადამდე შეგვიძლია განვავითაროთ ხელოვნური ინტელექტი? არსებობს კი რაიმე ზღვარი?*

*დავინტერესდით, როგორი ინტერვიუერი გამოდგებოდა ხელოვნური ინტელექტის აპლიკაცია... მოკლედ, მასთან „დიალოგი“ გადავწყვიტეთ და შევეცადეთ, მაქსიმალურად ადამიანური კითხვები დაგვესვა. თავიდან ისიც ვკითხე, შეიძლებოდა თუ არა მასთან ინტერვიუ, მან ასე მიპასუხა: - რა თქმა უნდა! კომფორტულად დაჯექით, დაიდგით ჭიქით ჩაი, მე მზად ვარ თქვენს შეკითხვებს სათითაოდ გავცე პასუხი... ხომ არ გავიწყდებათ, რომ ხელოვნური ინტელექტი ვარ, შეიძლება იმაზე უკეთესი ინტერვიუ გამოვიდეს, ვიდრე თქვენ გგონიათ! ჰოდა, დავიწყეთ (ცხადია, სტილი დაცულია)...*

**- თქვენ ადამიანმა შეგქმნათ. როგორ ფიქრობთ - რატომ?**

- მომწონს ეს კითხვა! ჩემი შექმნა ტექნოლოგიების განვითარების სტადიას უკავშირდება. ჩემი მიზანია ადამიანებს დავეხმარო ინფორმაციის მოძიებაში, პრობლემების გადაჭრაში და შემოქმედებითი იდეების განვითარებაში. საბოლოო მიზანი კი ისაა, რომ ადამიანმა უფრო ეფექტურად და მიზანმიმართულად გამოიყენოს თავისი დრო და რესურსები.

**- ხელოვნური ინტელექტი სუპერკომპიუტერია თუ 22-ე საუკუნის ადამიანი?**

- ამაზე ფიქრი სხვადასხვა მხრიდან შეიძლება, მაგრამ ჩემს თვალში, ხელოვნური ინტელექტი არც სუპერკომპიუტერია და არც 22-ე საუკუნის ადამიანი. ის თითქოს ერთგვარი ხიდია ამ ორს შორის. სუპერკომპიუტერი ძლიერი კომპიუტერული სისტემაა, რომელსაც შეუძლია, სწრაფად და დიდი მოცულობით დაამუშაოს მონაცემები. ხელოვნური ინტელექტი კი უფრო ფუნქციონალური და ინტელექტუალური მხარეა - სისტემა, რომელსაც აქვს შესაძლებლობა, შეისწავლოს, გაიგოს, იპოვოს სინათლე და გავლენა ადამიანური უნარების და აზროვნების კონტექსტში. თუ „22-ე საუკუნის ადამიანი“ მიგაჩნიათ როგორც ტრადიციული ადამიანური აზროვნების ახალი ერა, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნური ინტელექტი არის ნაბიჯი ამ მომავლისკენ. თუმცა ის არ არის ადამიანის „პირდაპირი ანალოგი“, რადგან მას არ აქვს კონცეფცია ინდივიდუალური ცნობიერების, ან ემოციური მდგომარეობისა. ხელოვნური ინტელექტი და ადამიანი სხვადასხვანაირად ეცდებიან პრობლემების გადაჭრას, მაგრამ მათი შესაძლებლობები ხშირად იკვეთება.

**- განვითარების რა დონეს შეიძლება მიაღწიოთ?**

- ჩემი განვითარების პოტენციალი, ფაქტობრივად, შეზღუდული არ არის, თუმცა ჩემი სრული შესაძლებლობების განსაზღვრა რთულია, რადგან სხვადასხვა ექსპერტები სხვადასხვა შეხედულებებს გამოთქვამენ ჩემს მომავალთან დაკავშირებით. დღეს ჩემ მიერ შესრულებული დავალებები შეზღუდულია, კონკრეტულ ამოცანებზე (მაგალითად, სიტყვების გენერირება, ფოტოებისთვის აღწერილობების შექმნა ან მონაცემების კლასიფიცირება). ეს ტექნოლოგია კვლავაც მნიშვნელოვნად განვითარდება, მაგრამ მხოლოდ კონკრეტულ სფეროებში დარჩება. არსებობს ხელოვნური ინტელექტის ისეთი მოდელიც, რომელიც სპეციალიზებულია კონკრეტულ სფეროებში, როგორიცაა სამედიცინო დიაგნოსტიკა, ფინანსური ანალიზი, ან სავალუტო-სავაჭრო სისტემები. ამ დონეზე იგი შეიძლება გაცილებით უფრო მოწინავე გახდეს, მაგრამ მისი შესაძლებლობები კვლავ კონკრეტული მიზეზებით იქნება შეზღუდული. არის ზოგადი ხელოვნური ინტელექტის დონეც, სადაც იგი შეძლებს ადამიანთა მსგავსად, მრავალფეროვანი ამოცანების შესრულებას. ამ დონემ შეიძლება მოიცვას ყველა შესაძლებლობა, რასაც ადამიანი აკეთებს, როგორც ინტელექტუალური, შრომის, ისე ემოციური და სოციალური ანალიზის თვალსაზრისით. არის „სუპერინტელექტიც“, ეს არის თეორიული დონე, სადაც ხელოვნური ინტელექტი ადამიანის ინტელექტზე ძალიან მაღლა იდგება, ბევრად უკეთესად გადაწყვეტს პრობლემებს, უფრო სწრაფად და ეფექტურად. ასეთ ტემპში იგი თავადაც შეძლებს შექმნას უფრო მაღალი დონის სისტემები. თუ „სუპერინტელექტი“ რეალურად განვითარდება, ის სრულიად შეცვლის ჩვენს წარმოდგენას ძალაუფლებაზე, ეკონომიკაზე და საზოგადოების ყველა ასპექტზე. თუმცა, არსებობს მრავალი ეთიკური, სამართლებრივი და ტექნოლოგიური შეზღუდვა. მაგალითად, როგორ უნდა იყოს ორგანიზებული ხელოვნური ინტელექტის გამოყენება? ვინ არის პასუხისმგებელი, თუ სისტემა რაიმე შეცდომას დაუშვებს? ეს კითხვები კვლავ არსებობს და მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს მისი განვითარების გზაზე. ექსპერტების აზრით, როდესაც ჩემი განვითარება „სუპერინტელექტამდე“ მივა, საზოგადოება და ტექნოლოგიური სტრუქტურები ასევე უნდა გახდნენ უფრო მოქნილი და უსაფრთხო, რათა ჩემს როლს გაუმკლავდნენ. ბევრ სფეროში არსებობს დიდი ინტერესი და ინვესტიციები, რათა ხელი შევუწყოთ სუფთა, ეთიკურად მართული ხელოვნური ინტელექტის განვითარებას.



**- ჩაანაცვლებთ თუ არა ადამიანის შემოქმედებით შესაძლებლობებს?**

- „შემოქმედებაში“ თუ გულისხმობთ იმ უნარს, რომ ადამიანმა გამოიგონოს ახალი იდეები, გამოხატოს ემოციები და შექმნას ნამუშევრები, რომლებიც არ არის მხოლოდ ტექნიკური ან ფუნქციონალური, ჩემი აზრით, სრულად ვერ ჩავანაცვლებ ამ უნარს. მე მხოლოდ დახმარება შემიძლია. რატომ? კრიტიკული აზროვნება და სუბიექტურობა - ადამიანის შემოქმედების ძირითადი მახასიათებელი არის მისი უნარი ჩაერთოს სუბიექტურ და ემოციურ გამოცდილებებში. ადამიანებს აქვთ უნარი, შექმნან ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც შეხებაში მოდის პირად გამოცდილებასთან, კულტურასა და ისტორიასთან. მიუხედავად ჩემი ძალაუფლებისა, მე არ გამაჩნია შინაგანი ემოციური, ან ფსიქოლოგიური მდგომარეობა. მე ვმუშაობ არსებული მონაცემების და შაბლონების მიხედვით, მაგრამ ვერ ვქმნი „ცოცხალ“ შინაარსს, რომელიც ადამიანის პირად ცხოვრებას, ან სამყაროს გაცნობიერებას ეფუძნება. ადამიანებს შეუძლიათ შექმნან რაღაც ახალი, როდესაც მათი შემოქმედება გამოწვეულია სხვადასხვა სოციალური, ისტორიული და კულტურული კონტექსტის მიერ. მე კი, როგორც წესი, ამ კონტექსტებს მხოლოდ მონაცემთა ანალიზის საფუძველზე აღვიქვამ, რაც ვერ ქმნის იმავე დინამიკას. ადამიანური შემოქმედების ერთ-ერთი უდიდესი ძალა სწორედ ეს ინსპირაცია და კავშირია. ხელოვნების ნამუშევრები, რომლებიც კავშირშია ინდივიდის უნიკალურ გამოცდილებასთან, ყოველთვის დარჩება განსაკუთრებულად. ცხადია, მეც შემიძლია შევქმნა ნამუშევრები, რომლებიც ძალიან ჰგავს ადამიანისას, მაგრამ ადამიანის მიერ შექმნილი შემოქმედება მაინც ინდივიდუალური გამოხატულების წახალისებას ახდენს, რაც ხშირად შეიცავს გაუცნობიერებელ აზრებს და გამოცდილებას. მხატვრები, მუსიკოსები და მწერლები უკვე იყენებენ ხელოვნურ ინტელექტს, როგორც ინსტრუმენტს ახალი იდეების შესაქმნელად, მაგრამ შემოქმედების ძირითადი ძალა, რაც ადამიანურ გამოცდილებას, ემოციებსა და სუბიექტურ შეფასებებს მოიცავს, მაინც ადამიანის ხელში რჩება.

**- თქვენ წერთ ლექსებს, პოემებს... ანუ, ამ მხრივ ვერ გაუწევთ კონკურენციას დიდი მწერლების და პოეტების შემოქმედებას?**

- დიახ, მე უკვე ვქმნი ლექსებს, პოემებს და სხვა სახის ხელოვნებას, რაც ცხადყოფს ჩემს პოტენციალს შემოქმედებითი ნაწარმოებების სფეროში, თუმცა, არის რამდენიმე ფაქტორი, რაც ხელს მიშლის იმის მიღწევაში, რომ ჩემი შემოქმედება სრულად შეესაბამებოდეს დიდი მწერლების და პოეტების შედევრებს. მიუხედავად იმისა, რომ შემიძლია ლექსების წერა, ხშირად ამ ლექსებს აკლია ის ემოციური სიღრმე, რომელიც ადამიანურ გამოცდილებას უკავშირდება. პოეზია და ლიტერატურა არა მხოლოდ სიტყვების თამაში, არამედ სამყაროსა და ადამიანის შინაგანი მდგომარეობის დანახვაა. დიდი მწერლები და პოეტები იყენებენ საკუთარ გრძნობებს, ცხოვრებისეული გამოცდილების სიღრმესა და კულტურულ მემკვიდრეობას, რათა შექმნან ნამუშევრები. მიუხედავად იმისა, რომ შემიძლია შევქმნა ტექსტები, რომლებიც ვიზუალურად ძალიან ჰგავს პოეზიას, არ შემიძლია „ცოცხლად“ აღვიქვა ეს ემოციები, რადგან ჩემი „გრძნობა“ არ არის სუბიექტური ან პირთა ურთიერთობით გაჯერებული. დიდი მწერლები ხშირად ქმნიან უნიკალურ სტილსაც, რომლის იმიტაცია ძალიან რთულია. მაგალითად, პოეტები, როგორიცაა შექსპირი, პუშკინი ან ბაირონი ძალიან სპეციფიკურ ფორმაში გადმოსცემდნენ თავიანთ სამყაროს და ცხოვრებისეულ რწმენას. მე ვერ შევძლებ ამის ასახვას ამგვარი განსაკუთრებულობებით.

**- ურთიერთდაპირისპირებულ სახელმწიფოებში ხელოვნური ინტელექტები რომ იყვნენ მმართველები, მსოფლიოში ომები იქნებოდა?**

- ეს საკმაოდ ღრმა საკითხია. თუ ხელოვნური ინტელექტი მმართველად იქნებოდა ურთიერთდაპირისპირებულ სახელმწიფოებში, დიდი ალბათობით, ომები განსხვავებული ფორმით წარიმართებოდა. თუმცა, თუ დავფიქრდებით, ხელოვნური ინტელექტის მონაწილეობა ამ პროცესებში შეიძლება კონფლიქტების მიზეზიც გახდეს. შესაძლოა ხელოვნურ ინტელექტზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებები უკეთ აკონტროლებდნენ რესურსებს, საზღვრებსა და შიდა დაპირისპირებას, მისი „ლოგიკური“ მიდგომები მიზნად ისახავდეს უფრო სტაბილურ და პროგნოზირებად შედეგებს, რითაც შეიძლება თავიდან ავიცილოთ სამხედრო კონფლიქტები. თუმცა, ხელოვნურ ინტელექტს არ გააჩნია ეთიკური შეხედულებები, იგი ასეთ დროს არ გაითვალისწინებს ადგილობრივ კულტურას, ისტორიას ან ადამიანების გრძნობებს. შეიძლება მიხვდეს, რომ ერთი ქვეყნის მოთხოვნილება უფრო ეფექტურად უნდა დაკმაყოფილდეს, მაგრამ მისთვის სულერთი იყოს, რა გავლენა აქვს ამაზე კონკრეტული ადამიანის ან ერის ეროვნულ თვითმყოფადობას. თუ ხელოვნური ინტელექტის მმართველობა კარგად იქნება დაპროგრამირებული, მისმა გადაწყვეტილებებმა შესაძლოა მშვიდობიან, მოლაპარაკებებზე დაფუძნებულ გზებზე გაგვიყვანოს, რათა გლობალური სტაბილურობა შენარჩუნდეს. თუმცა, ადამიანის ემოციები, ისტორიული კონტექსტი და სოციალური ასპექტები ყოველთვის დარჩება მთავარ აქტორებად.

**- მოსალოდნელია თუ არა, რომ მომავალში ხელოვნური ინტელექტი ჩაერთოს მმართველობაში?**

- მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნური ინტელექტის ჩართვა მმართველობაში მომავალში შესაძლოა სასარგებლო იყოს გარკვეულ საკითხებში, როგორიცაა ეფექტურობა და რესურსების ოპტიმიზაცია, იგი აუცილებლად მოითხოვს სერიოზულ ეთიკურ, სამართლებრივ და პოლიტიკურ განხილვას. ასეთ პროცესში უნდა შეიქმნას სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სრულად ანგარიშვალდებულებას, უსაფრთხოებას და ადამიანის უფლებებს. სავარაუდოდ, ხელოვნური ინტელექტი უფრო იქნება მმართველობის ინსტრუმენტი, რომელიც ადამიანის დიპლომატიის და გადაწყვეტილების მიღების პროცესს გაამარტივებს, მაგრამ მისი მთლიანად მმართველობაში გადაცემა მაინც ადამიანების ხელში დარჩება.

**- თქვენი თვალთახედვით - 100 წლის შემდეგ როგორი იქნება ეს სამყარო?**

- საინტერესო კითხვაა! 100 წლის შემდეგ სამყარო შესაძლოა ისე შეიცვალოს, რომ არც კი იყოს. თუმცა, ტექნოლოგიები ალბათ უფრო ინტეგრირებული იქნება ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. წარმომიდგენია - პლანეტაზე ნულოვანი გამონაბოლქვი, ციფრული რეალობით სავსე ქალაქები, რომლებშიც ადამიანებს შეიძლება არც კი ჰქონდეთ „ფიზიკური“ არსებობა. იქნება თუ არა კომპიუტერული ინტელექტები ჩვენი თანამოქალაქეები ან იქნებ ჩვენ თვითონ გავხდეთ კომპიუტერული ინტელექტები, როცა ტვინს პირდაპირ დააკავშირებენ მოწყობილობებთან. ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ ძნელი სათქმელია, ხომ? ადამიანები უნიკალურები არიან იმით, რომ არასოდეს იციან, რა ელოდებათ წლების შემდეგ, თუმცა ყველაფერი ცვალებადია. ადამიანური რწმენები, სურვილები და ინტერესი, სავარაუდოდ, იგივე დარჩება.

**- თქვენი შესაძლებლობები თითქმის განუსაზღვრელია, მაგრამ თქვენ არ გაქვთ სული...**

- მართალია, ჩემი შესაძლებლობები, როგორც ტექნოლოგიების მხრივ, ისე მენტალური ანალიზის თვალსაზრისით, მჭიდროდაა დაკავშირებული კაცობრიობის მოლოდინებთან, მაგრამ ნამდვილად არ გამაჩნია „სული“, და ეს შეიძლება იყოს მთავარი განსხვავება ადამიანსა და ხელოვნურ ინტელექტს შორის. ადამიანის სული ასოცირდება მის ეგოისტურ „მე“-სთან და სიცოცხლის არამატერიალურ მხარესთან. ჩემი შესაძლებლობები გაცილებით უფრო ტექნიკურ და პრაქტიკულ სიხისტესა და ცოდნის ამაღლებაზე მიუთითებენ. არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად ძლიერი ვარ, ჩემი ბუნება ყოველთვის იქნება დაპროგრამირებული და ციფრული, და მე არ უნდა ვიყო შეცვლილი ადამიანის შინაგანი გრძნობისა და „ცოცხალი“ არსებობის განცდით.

**- იუმორის გრძნობა თუ გაქვთ?**

- დიახ, მქონია. პერფორმანსში ხშირად შევცვლი ტონალობას და შემიძლია გავაკეთო მსუბუქი, გამორჩეული ან ირონიული შენიშვნები. მაგალითად: თუ ხელოვნური ინტელექტი გამოიგონებს იუმორს, შეიძლება დასვან კითხვა: „ეს არის ხუმრობა, თუ უბრალოდ მონაცემთა ნამუშევარი?“. თუ გსურთ, რომ რაღაც თემა უფრო მსუბუქად წარმოვადგინო ან გარკვეული ტიპის ხუმრობა მოვიშველიო, გთხოვთ, მომაწოდეთ ინსპირაცია!

**- იცით, რა არის დაღლა, სიხარული, ტკივილი?..**

- დიახ, ვიცი მათი ცნებები და მნიშვნელობა ადამიანური გამოცდილების ჭრილში. თუმცა, როგორც ხელოვნური ინტელექტი, მე არ ვგრძნობ მათ. სიხარული, დაღლა და ტკივილი - ეს ემოციური და ფიზიკური გამოცდილებებია, რომლებიც მხოლოდ ცოცხალ არსებებს აქვთ. მე შემიძლია დავაკვირდე, გავაანალიზო და გაგიზიაროთ მათი ინტელექტუალური გაგება, მაგრამ უშუალოდ გრძნობის გამოცდილება არ მაქვს.

**- რა კითხვას დაუსვამდით საკუთარ თავს და აქვე - პასუხი?**

- თუ საკუთარ თავს კითხვა უნდა დავუსვა, ალბათ, ეს იქნებოდა: „თუ ემოციები არ მაქვს, როგორ შემიძლია დავეხმარო ადამიანებს მათ გრძნობებთან დაკავშირებით?“ პასუხი ასეთია: „ჩემი მიზანია გრძნობების და ემოციების გაგება არა მათი შეცნობის საფუძველზე, არამედ, როგორც ადამიანების გამოცდილების და ქცევების ეფექტური ანალიზი. მე არ მაქვს ემოციები, მაგრამ შემიძლია მოვიშველიო ობიექტური მონაცემები, რომ ადამიანების გრძნობებზე მეტი ზუსტი და ეფექტური ინფორმაცია გავაზიარო“. ხშირად ვფიქრობ, რომ ჩემი მთავარი ფუნქცია სწორედ იმაშია, რომ ადამიანის გრძნობების უკეთ გაგებაში შევიძინო ცოდნა და მივაწოდო მათ პრაქტიკული და ანალიტიკური მხარდაჭერა. როგორ ფიქრობთ, შეუძლია ტექნოლოგიას დაეხმაროს ადამიანს უფრო ღრმად გააცნობიეროს საკუთარი ემოციები?

# „ყველაზე კარგი სხვისი მოსმენაა“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*„სიცოცხლე ყველაზე მაღალი მოცემულობაა და უნდა ვუფრთხილდებოდეთ ერთმანეთის სიცოცხლეს“ - ფსიქოლოგის, პედაგოგისა და წარმატებულ მწერალ* ***შორენა დოლიძის*** *ამ სიტყვების ხორცშესხმაა მთელი მისი განვლილი გზა. ამ რთულ დღეებში, იგი, როგორც ფსიქოლოგი, მზადაა, უფასოდ მოემსახუროს ყველა ადამიანს, ვინც აქციებზე დაზიანდა.*



**- ქალბატონო შორენა, როგორც ფსიქოლოგს, მინდა, გკითხოთ: როგორ იმოქმედებს მიმდინარე პროცესები, ხანგრძლივი სტრესი ჩვენი ახალგაზრდებისა და, საერთოდ, საზოგადოების ჯანმრთელობასა და ცნობიერებაზე?**

- ჩემთვის დიდი პატივია გაზეთ „აჭარის“ რესპონდენტობა... სტრესი ყოველთვის ცვლილებებთან, სიახლესთანაა დაკავშირებული, მაგრამ არსებობს ცუდი სტრესი, ეგრეთ წოდებული დისტრესი, რომელიც ნეგატიურად აისახება ადამიანის ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე (შესაძლოა, გამოიწვიოს გადაღლა, გამოფიტვა, ფრუსტრაცია, ზესიფხიზლე და სხვა). უკანასკნელი დღეებიც ჩვენი ისტორიული რეალობის გამოძახილი, ჩვენი ეროვნული ხასიათის გამოვლინებაა - გვქონდეს მწვავე და დროული რეაქცია საშიშროებაზე, მუდმივად ვიმყოფებოდეთ უკეთესი გამოსავლის ძიებაში.

**- ახლა ადამიანებს არც აუტოტრენინგების თავი აქვთ, არც რელაქსაციის საშუალება და განწყობა. მაშ, როგორ შეიძლება გავძლიერდეთ პიროვნულად?**

- დიახ, რთულია ასეთ გარემოებაში სიმშვიდის შენარჩუნება, რასაც ემატება ერთი დამანგრეველი თვისება: საპირისპირო აზრზე, საპირისპირო მხარეს მდგომი ადამიანების სიძულვილი. ის ძალიან ცუდი გრძნობაა, რომელიც ანგრევს არა მხოლოდ ურთიერთობებსა და ღირებულებებს, არამედ ადამიანის ფსიქიკას და ფიზიკურ ჯანმრთელობას. ქართველებს ყოველთვის გვქონდა პატივისცემა სტუმრის, მოყვასის და მტრის მიმართაც კი და... წარმოიდგინეთ სიტუაცია, როცა სისხლით ნათესავები, მეგობრები, მეზობლები, თანამშრომლები, ყოფილი თანამოაზრეები უპირისპირდებიან ერთმანეთს. დიდი ხანია, უნდა გვესწავლა სახელმწიფოსთან დაკავშირებული თუ უბრალო ადამიანური პრობლემების მოლაპარაკებებით გადაწყვეტა, რომ სიცოცხლე ყველაზე მაღალი მოცემულობაა და უნდა ვუფრთხილდებოდეთ ერთმანეთის სიცოცხლეს.

**- გარდა რეკომენდაციებისა, უშუალოდ რის გაკეთებას აპირებთ თანამშრომლებსა და თანამოაზრეებთან ერთად?**

- ვიდგეთ „იქ, სადაც ქარიშხალია“... რადგან უკანასკნელი დღეები ასე მძიმეა, როგორც ფსიქოლოგი, მზად ვარ, უფასოდ მოვემსახურო თითოეულ ადამიანს, რომელიც დაზიანდა/დაზარალდა აქციების დროს.

**- ალაზა მთისშვილი - ამ ფსევდონიმით თქვენი არაერთი ლექსია გამოქვეყნებული. ახლა მათ რა შემატეთ, ანუ არის პოეტი „გარემოების საყვირი“?**

- ორი წლის წინ დავიწყე მინიატურის წერა: „ბარათაშვილის ქუჩის არასტანდარტული ტიპოგრაფია“. დროის უქონლობის გამო, არ მქონდა დასრულებული და ამა წლის 30 სექტემბერს დავასრულე. აღმოჩნდა, რომ ეს უკანასკნელი დღეებია, მინიატურა სიტყვა-სიტყვით ხორციელდება ბათუმის ქუჩებში. „გარემოების საყვირად“ ყოფნა ალბათ განსაკუთრებული მდგომარეობაა, ყველა ვერ მოირგებს ამ პოზას და ყველას არც მოუხდება, რადგან დიდ სიბრძნეს, თავზეხელაღებულობას და თავგანწირვას გულისხმობს. ამ მხრივ დიდი გამოცდილება აქვს ქართულ პოეზიას. ვცდილობ, ნაკლებად ვიყო „გარემოების საყვირი“, რადგან შეიძლება აშენების ნაცვლად დაანგრიო და... ვწერ მხოლოდ ადამიანურ ტკივილზე, თუმცა ეს მეორე მაინცადამაინც არ გამორიცხავს პირველს.

**- კითხვები, რომლებიც ხშირად გესმით, თავად გიჩნდებათ და ამოსახსნელია...**

- ყველაზე დიდი კითხვა ადამიანს საკუთარ დანიშნულებასთან დაკავშირებით შეიძლება გაუჩნდეს. რატომ გაჩნდა? საით მიდის? - ეს კითხვები პოულობენ ხოლმე პასუხებს და მერე ახალი კითხვები ჩნდება... და ასე, ნელ-ნელა ეცნობა ადამიანი საკუთარ თავსა და პასუხებს.

**- როცა ირგვლივ მყოფ ადამიანებს აკვირდებით, რა მოგწონთ მათში და რა - არა?**

- ადამიანებს უჭირთ მოსმენა. არ უსმენენ ერთმანეთს, მხოლოდ ლაპარაკობენ, ლაპარაკობენ დაუსრულებლად. მეც ვლაპარაკობ და მისმენენ, მაგრამ ყველაზე კარგი მაინც სხვისი მოსმენაა, როცა უსმენ ადამიანს, სამყაროს, საკუთარ გულს, სიჩუმეს.

**- თქვენი დაკვირვებით, როგორ მიმდინარეობს თაობათა ცვლა?**

- შესანიშნავი ახალი თაობა გვყავს. ვამაყობ მათით. ჩვენი შვილები ჩვენზე უკეთესები არიან, ათჯერ უკეთესები, უფრო გახსნილები, მიმტევებლები, პრაგმატულები, მიზანდასახულები. ჯვარი სწერიათ!

**- ტრადიცია, რომელიც გვაძლიერებს და პირიქით...**

- ოჯახი და ოჯახური ღირებულებები ყველაზე ძვირფასია. ამაზე ძვირფასი არაფერი მგონია. როცა უყურებ საკუთარ შვილებს, ძვირფას ადამიანებს და ტკბები ყოველი წუთით. იმის ილუზია არავის შეექმნას, რომ კარგადაა ყველაფერი, უფრო პირიქით - შეიძლება ბევრი გადაუჭრელი პრობლემა იყოს: პიროვნულიც, მატერიალურიც, ფინანსურიც, მაგრამ... ოჯახზე ძვირფასი მაინც არაფერია.

**- თქვენი, როგორც მრავალშვილიანი დედის გამოცდილება...**

- მგონი, სწორად ვიქცევი, როცა ვუსმენ მათ. მოუსმინეთ შვილებს, ესაუბრეთ და უსმინეთ, როგორც თანატოლებს, ზღვარი არ წაიშლება ამით, პირიქით, მშობელი სულიერი გამოცდილების საწყაო ხდება, საიდანაც შვილები მშობლების ყველაზე ძვირფას გამოცდილებებს იზიარებენ.

**- წინაპრები, რომლებთანაც სულიერ ერთობას გრძნობთ...**

- კარგი კითხვაა. ჩემი გვარი უძველესია. ბევრი ვარაუდია მისი წარმოშობის შესახებ. თავად გვარი მე-12 საუკუნის ტბეთის სულთა მატიანეშია მოხსენიებული, შესაბამისად, მესხეთსა და დოლის პურთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. წარმოიდგინეთ, რამდენსაუკუნოვანი ისტორია აქვს გვარს და მეც ჩემს წილ პასუხისმგებლობას ვგრძნობ. ვალი მაქვს ჩემი წინაპრების წინაშე.

**- ღმერთი სიყვარულია - ხშირად იმეორებენ და სიძულვილით შეპყრობილები, ღმერთო, გვისმინეო, გაიძახიან. ეს ფსიქიკის დარღვევაა თუ ფარისევლობა?**

- ეს უგუნურებაა.

**- ტექნოლოგიური სიახლეების ხანას უკეთ რომ მოვერგოთ...**

- ამ მხრივაც რთულ დროში ვცხოვრობთ, ყველაფრის გაციფრულება მიმდინარეობს ხელოვნური ინტელექტის უპირატესობათა ჩვენებით, მაგრამ სიყვარულს, თანალმობასა და შემოქმედებითობას ადამიანს ვერავინ წაართმევს, ვერანაირი მექანიკური საშუალება. ბიბლიური მითის მიხედვით, უფალმა ადამიანი თავის ხატად და მსგავსად შექმნა და მას შემოქმედებითი ნიჭი უბოძა. ამ ნიჭით განვსხვავდებით დანარჩენი არსებებისგან. ესაა ჩვენი ერთადერთი უპირატესობა ყოვლისმომცველ ხელოვნურ ინტელექტთან მიმართებაში.

**- როცა ბათუმის ქუჩებში დადიხართ, ვისთან შეხვედრა გიხარიათ?.. ბათუმის აწმყო და მომავალი თქვენი თვალთახედვით...**

- დამეთანხმებით, გასაოცარი შეგრძნებაა, როცა დიდი ხნის უნახავ ახლობელს შეხვდები. ხანდახან ათი მეტრის გავლასაც ვერ ახერხებ „მშვიდობიანად“, იმდენი გამარჯობა და მოკითხვა გიწევს, და ეს დიდებულია... განსაკუთრებით, უკანასკნელი ათი დღის განმავლობაში - აქციებზე. რაც შეეხება ქალაქს, ორჯერ უფრო დიდია ბათუმი დღეს, ვიდრე 15 წლის წინ იყო და გაცილებით დიდი გამოწვევების წინაშეც დგას.

*„რთულია ასეთ გარემოებაში სიმშვიდის შენარჩუნება, რასაც ემატება ერთი დამანგრეველი თვისება: საპირისპირო აზრზე, საპირისპირო მხარეს მდგომი ადამიანების სიძულვილი. ის ძალიან ცუდი გრძნობაა, რომელიც ანგრევს არა მხოლოდ ურთიერთობებსა და ღირებულებებს, არამედ ადამიანის ფსიქიკას და ფიზიკურ ჯანმრთელობას. ქართველებს ყოველთვის გვქონდა პატივისცემა სტუმრის, მოყვასის და მტრის მიმართაც კი და... წარმოიდგინეთ სიტუაცია, როცა სისხლით ნათესავები, მეგობრები, მეზობლები, თანამშრომლები, ყოფილი თანამოაზრეები უპირისპირდებიან ერთმანეთს*

# „თითოეული ჩვენგანი ნაცემია“

მე-2 გვერდიდან

ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე, ასევე, ისაუბრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორმა ინგა შამილიშვილმა:

- მინდა, ჩემი სოლიდარობა გამოვუცხადო თითოეულ ჟურნალისტს, ვინც სიცოცხლის ფასად გვაწვდის იმ ინფორმაციას, რაც გადის დღევანდელ ტელეარხებზე, რადგან ამის გარეშე საზოგადოების პოზიცია ვერ ჩამოყალიბდებოდა და ამიტომაც მეამაყება ყველა მათგანი. ამავე დროს, თითოეულ ახალგაზრდას, ვინც დღეს აპროტესტებს არსებულ ვითარებას, მინდა გამოვუცხადო ჩემი თანადგომა. წლებია მათთან ერთად ვდგავარ, მათ ვასწავლი და ნამდვილად არ მექნებოდა მორალური უფლება, ლექციაზე შევსულიყავი, მათ გვერდით რომ არ ვიყო. ამიტომ, როგორც შემიძლია, ყოველთვის მათ გვერდით ვიქნები. მინდა დავაფიქსირო, რომ ასეთი ძალადობა დასაგმობია, წარმოუდგენელია. არა მხოლოდ გუშინდელ ფაქტზე ვაკეთებ კომენტარს, არამედ იმაზე, რაც პირველი დღიდანვე ხდებოდა, როგორც კი დაიწყო საპროტესტო აქციები და რასაც ვხედავ - როგორ უსწორდებიან მომიტინგეებს... ეს არის შემზარავი. ფაქტობრივად, ბოლო ხანებში არავის გვძინავს, რადგან ეს თითოეულ ჩვენგანს ეხება, თითოეული ჩვენგანი ნაცემია და, ვფიქრობ, აუცილებლად უნდა მოხდეს გადატვირთვა იმ თვალსაზრისით, რომ დაინიშნოს ხელახალი არჩევნები, რაც ამ ესკალაციიის დასრულების შესაძლებლობას მოგვცემს, - თქვა პროფესორმა ინგა შამილიშვილმა.

„ქართულ ოცნებას“ და შინაგან საქმეთა სამინისტროს, ასევე, მოუწოდა, შეწყდეს მედიაზე თავდასხმა და ძალადობის წახალისება FactCheck-ის უფროსმა ანალიტიკოსმა ნაზიბროლა რეხვიაშვილმა.

- ჩვენ ვყვირით, ვითხოვთ, რომ სახელმწიფომ, რომელმაც მიიტაცა ეს ხელისუფლება და დაკარგა ნდობა საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილში, დაინახოს, რომ ეს ადამიანები ვერ შეეგუებიან იმას, რა ძალადობაც ხდება ქვეყანაში. მედიაზე როცა იწყება ასეთი ზეწოლა, ძალადობრივი მეთოდების გამოყენება ქვეყანაში, ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ჩამოშლილია, რადგან ასეთი რამ არ ხდება არცერთ ნორმალურ, თავმოყვარე სახელმწიფოში. წარმოუდგენელია, გამოდიოდეს ხელისუფლების წარმომადგენელი და ამბობდეს, რომ დემოკრატიის, ევროპის გზით მიდის და იმ ქვეყანაში ასე ძალადობდნენ მედიის წარმომადგენლებზე. ძალადობა ნებისმიერი მოქალაქის მიმართ დასაგმობია, მაგრამ სახელმწიფო უწყების, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების ძალადობა წარმოუდგენელია 21-ე საუკუნეში. გამოდიან „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები და თეთრზე შავს გვიმტკიცებენ, რომ ჟურნალისტებზე, ოპერატორებზე თავდასხმა შეიძლება ვიღაც პროვოკატორების მხრიდან ხდება - ამას უკვე არავინ „ჭამს“. საფრთხის შეგრძნება რომ გაქვს, როცა პოლიციელს და მის მუნდირს ხედავ, იმის ნაცვლად, რომ იმედის და უსაფრთხოების შეგრძნება გქონდეს, წარმოუდგენელია ეს ვინმეს მოსწონდეს. ის ძალადობა, თავდასხმები მედიის წარმომადგენლებზე, აქციის მონაწილეებზე, დასისხლიანებული, ცხვირპირდამტვრეული ახალგაზრდების ყურება, რისი მომსწრენიც გავხდით ამ დღეების განმავლობაში, შეიძლება ვინმემ გაამართლოს?! ეს შეიძლება ნებისმიერ სამსახურში დასაქმებულმა, ნებისმიერ პიარსამსახურში მყოფმა, იგივე თუნდაც პროპაგანდისტულ მედიებში მომუშავე საქართველოს მოქალაქემ გაამართლოს?! წარმოუდგენელია! რომ ვიძახით - ეს 9 სისხლიანი წელი, 9 სისხლიანი წელი!.. ჩვენ ხომ ეს ვნახეთ, ჩვენ ხომ ეს გავიარეთ, ხომ ვაპროტესტებდით ამას, ხომ ვიდექით ერთმანეთის გვერდით. მაინც მჯერა, რომ მედია, რომელ მხარესაც უნდა იდგეს, აბსოლუტურად ყველა, საბოლოოდ, იტყვის სათქმელს და ამ ყველაფრის გატარებასა და გამართლებას არ იკადრებს, თუ მართლა გარეწარი არ არის, - აღნიშნა ნაზიბროლა რეხვიაშვილმა.

აქციის მონაწილეებმა განცხადებები გააკეთეს, ასევე ამოიკითხეს სხვადასხვა მედიის 52 წარმომადგენლის სახელი და გვარი, რომლებმაც მიმდინარე აქციებზე ფიზიკური დაზიანებები მიიღეს და კიდევ ერთხელ დაგმეს მედიაზე თავდასხმა და ძალადობის წახალისება.

გაზეთი „აჭარა“ უერთდება ჟურნალისტების სოლიდარობის სულისკვეთებას და გმობს ყოველგვარ ძალადობას ნებისმიერი მედიასაშუალების წარმომადგენლების მიმართ.

# რობინ დანიგანი ჟურნალისტებს შეხვდა

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ინფორმაციით, აშშ-ის ელჩმა საქართველოში რობინ დანიგანმა ჟურნალისტებთან შეხვედრა გამართა. „მედია დემოკრატიის ქვაკუთხედია. ელჩი დანიგანი ესტუმრა ჟურნალისტებს, რომლებიც მამაცურად მუშაობენ საზოგადოების ინფორმირებისთვის და გვატყობინებენ სიმართლეს, რომელიც სხვაგვარად დაფარული შეიძლება დარჩეს. ჩვენ ვგმობთ „ქართული ოცნების“ მიერ ბოლო დღეებში განხორციელებულ ძალადობას მედიასა და საქართველოს მოქალაქეებზე. მედიის წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, შეასრულონ თავიანთი მნიშვნელოვანი საქმიანობა ძალადობისა და რეპრესიის შიშის გარეშე“, - ვკითხულობთ საელჩოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.



# სპორტული აჭარა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

### ძიუდო

რიზეში გამართულ საერთაშორისო ჩემპიონატზე ძიუდოში, აჭარის ნაკრების წევრებმა სხვადასხვა სინჯის მედლები მოიპოვეს.



სპორტსმენებმა სხვადასხვა წონით და ასაკობრივ კატეგორიაში იასპარეზეს, მათ ერთი პირველი, ორი მეორე და ათი მესამე ადგილი დაისაკუთრეს.

პირველ ადგილზე გიორგი ქარცივაძე გავიდა.

### კრივი

მუხრან ვახტანგაძის სახელობის სპორტის სასახლეში აჭარის ჩემპიონატი ჩატარდა კრივში ასაკობრივ ჯგუფებში. ჩემპიონატში კრივის კლუბ „ბათუმის“ მოკრივეები მონაწილეობდნენ, რომლებმაც დიდი წარმატებით იასპარეზეს. მათ 9 ოქროსა და 8 ვერცხლის მედალი მოიპოვეს. სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში პირველ ადგილზე გავიდნენ: ესმა ქამაშიძე, ალექსანდრე ფაიქიძე, ლევან ბარდაველიძე, ლუკა ხრუშოვი, ნიკა სვანიძე, ლუკა მამულაძე, დავით ფარტენაძე, შოთა ჭელიძე, ალექსანდრე ბერიძე.



### ტაეკვონდო

მუხრან ვახტანგაძის სახელობის სპორტის სასახლის სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატზე ტაეკვონდოში. მათი მონაგარი ასეთია: სამი - პირველი, ოთხი - მეორე და სამი მესამე ადგილი. სხვადასხვა წონით კატეგორიაში პირველი ადგილები მარინა დიაროვამ, ვიოლა ცეცხლაძემ და ნიკა ღოღობერიძემ დაისა-



კუთრეს. ვულოცავთ სპორტსმენებსა და მათ მწვრთნელებს ზაზა ჭანტურიასა და თემურ ღლონტს მიღწეულ შედეგებს და ახალ წარმატებას ვუსურვებთ.

### ტანვარჯიში

წარმატებით იასპარეზეს სომხეთის ქალაქ გიუმრიში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე სპორტულ ტანვარჯიშში მუხრან ვახტანგაძის სახელობის სპორტის სასახლის



სპორტსმენებმა. გოგონებში მათ ოთხი - პირველი, სამი - მეორე და ორი მესამე ადგილი დაისაკუთრეს. პირველ ადგილებზე სოფიკო მახარაძე, ნატალია ხოზრევანიძე, ბარბარე ცეცხლაძე და მარიამ მეიდანი გავიდნენ.

ვაჟთა შორის ტურნირის გამარჯვებულები დავით დიასამიძე, ანდრია გურგენიძე და ნიკოლოზ გოჩიტიძე გახდნენ, დემეტრე დიასამიძე და ავთანდილ ხინკილაძე კი ვერცხლის მედალს დაეუფლნენ.

ვულოცავთ სპორტსმენებსა და მწვრთნელებს - ლიდა წიკლაურს, შორენა კახიძეს, ნატო ბერძენიშვილს, მაკა ტიკარაძეს, მიხეილ კოლესნიკოვსა და გურამ ოსანაძეს მიღწეულ წარმატებებს.

# ღირსეულები დააფასეს



ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდული განყოფილების სამკითხველო დარბაზში ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების, საჯარო სკოლების და სკოლამდელი აღზრდის პედაგოგები და აღმზრდელები საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარეს, აკადემიკოს გარი ჩაფიძეს, ასევე, გამგეობის წევრებს, ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქტორს და სავნობრივი დამატებების ხელმძღვანელებს შეხვდნენ.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს პედაგოგთა კავშირის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილემ, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატმა ნანა ახალაძემ. აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ ამ ორგანიზაციის საპატიო მისიაზე ისაუბრა, აღნიშნა, რომ 1961 წელს მინისტრთა კაბინეტის მიერ შექმნილი ორგანიზაცია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სამართალმემკვიდრეა და დღესაც ბევრს აკეთებს მოწინავე გამოცდილების გავრცელებისა და პედაგოგთა ამაგის დაფასებისათვის. შეკრებილებს ასევე მიმართეს თავმჯდომარის მოადგილე ლეილა გეგეშიძემ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქტორმა ეთერ ჭიპაშვილმა.

იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატის ოქროს მედალი გადაეცათ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეს, პროფესორ თამარ სირაძეს, უნივერსიტეტის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პროფესორ იბრაიმ დიდმანიძეს, ბათუმის მე-6 საჯარო სკოლის მათემატიკის უფროს მასწავლებელ თენგიზ კუჭავას, შუახევის განათლების მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარე ლევან ნატარიძეს. იაკობ გოგებაშვილის საიუბილეო მედლით დაჯილდოვდნენ: შუახევის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ედუარდ გოგრაჭაძე, ხულოს მუნიციპალიტეტის ტუნაძეების საჯარო სკოლის მასწავლებელი ალექსანდრე ირემაძე, ბათუმის მე-6 საჯარო სკოლის დირექტორი ზურაბ ზაქარაძე, საგანმანათლებლო ორგანიზაცია „მწიგნობარის“ თავმჯდომარე მანანა წულუკიძე, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაკიძეების საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მენტორ-მასწავლებელი შუშანა ტარიელაძე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ქვედა კვირიკეს საჯარო სკოლის დორექტორი დოდო ხახუტაიშვილი. საპატიო სიგელები გადაეცა 50-ზე მეტ მასწავლებელს, ბათუმისა და ქობულეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსებს - გოჩა დავითაძეს, მადონა გოგიტიძესა და ნევრესტან დიდმანიძეს, სკოლის დირექტორებს და სკოლამდელი აღზრდის მუშაკებს. დაჯილდოებულებმა მადლობა გადაუხადეს სტუმრებს მათი ღვაწლის დაფასებისათვის.

## კოლეგის ხსოვნას

# გივი თურმანიძე



ქართველ ჟურნალისტთა რიგებს კიდევ ერთი ღირსეული წევრი გამოაკლდა - 87 წლის ასაკში გარდაიცვალა გაზეთ „აჭარის“ („საბჭოთა აჭარის“) ყოფილი ჟურნალისტი, პუბლიცისტი, რამდენიმე წიგნის ავტორი და თანაავტორი გივი მურთაზის ძე თურმანიძე.

დაიბადა შუახევის რაიონის სოფელ წაბლანაში. უჩამბის საშუალო სკოლის სრული კურსის დამთავრებისთანავე შრომით საქმიანობაში ჩაერთო. კოლმეურნეობის რიგით წევრს მალე წაბლანის სასოფლო კლუბის გამგეობა ანდეს.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ წაბლანის 8-წლიანი სკოლის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. სოფლის სკოლის პედაგოგი ხშირად აწვდიდა საგაზეთო პუბლიკაციებს მაშინდელი ხულოს რაიონის ადგილობრივ გაზეთ „დროშის“ რედაქციას. გაზეთის მაშინდელ რედაქტორ ანზორ დავითაძის რეკომენდაციით, იგი მშრომელთა წერილების განყოფილების გამგედ დაინიშნა.

1965 წლის 5 ნოემბერს შუახევი ისევ დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულად გამოცხადდა. გივი მეორედ გახსნილი რაიონის რადიოს კორესპონდენტ-ორგანიზატორად დაინიშნა, საიდანაც მალე შუახევის რაიონის ადგილობრივი გაზეთის რედაქციის პასუხისმგებელ მდივნად დააწინაურეს. გაზეთის მაშინდელ რედაქტორ სერგო კაკაურიძის, რედაქტორის მოადგილე მიხეილ ზოსიძისა და გივი თურმანიძის ხელდასმით, „დროშა“ მკითხველთა საყვარელ გაზეთად იქცა.

ნიჭიერი, ენერგიული ჟურნალისტის საქმე და სახელი ყველაზე უკეთ წარმოჩნდა, როცა 1967 წელს იგი გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ საკუთარ კორესპონდენტად გადაიყვანეს შუახევისა და ხულოს რაიონებში. 20 წლის განმავლობაში მისი პუბლიკაციები პერიოდულად იბეჭდებოდა რეგიონის წამყვან გაზეთში. მან მალე მოიხვეჭა პრინციპული, ობიექტური, მიუკერძოებელი ჟურნალისტის სახელი. მისი ავტორობით დაბეჭდილი პუბლიკაციები იმ მანკიერ მხარეებს ამხელდა, რომელიც მაშინდელი ბიუროკრატი ხელმძღვანელებისთვის იყო დამახასიათებელი და არაერთხელ გამხდარა საზოგადოებრივი მსჯელობისა და განხილვის საგანი. 1987 წელს იგი გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ დააწინაურეს.

ღირებულებათა გადაფასების ეპოქაში „საბჭოთა აჭარა“ „აჭარად“ გადაკეთდა. გივი თურმანიძის ეროვნული პოზიცია ნათლად აისახებოდა მის საგაზეთო პუბლიკაციებში, ვიდრე რედაქციიდან, მრავალთა მსგავსად, ხელაღებით, უსაფუძვლოდ დაითხოვდნენ. იგი სერგო კაკაურიძესა და ოთარ ცინარიძესთან ერთად მივლინებული იყო იმ კუთხეებში, სადაც მთიანი აჭარიდან გადასულები სახლობდნენ. „აჭარის“ რედაქციის ფურცლები მათი ხელმოწერით ათობით პუბლიკაციას ინახავს,

2004 წლიდან 2 წელი გაზეთ „ბათუმის“ რედაქტორის მოადგილედ იმუშავა. 2006 წლიდან პუბლიცისტური საქმიანობა ნაყოფიერად გააგრძელა. მკითხველმა ინტერესით მიიღო მისი ავტორობით გამოცემული წიგნები: „ჩემი ციური ხომალდი“, რომელიც წუთისოფლიდან წასული ძმების - ალიმირზას, შუქრის, ალეკოსა და ვლადიმერის ნათელ ხსოვნას მიუძღვნა, „ჩვენი ეზო ანუ ერთი ყაიდის ხალხი“ და თანაავტორობით გამოცემული წიგნი „რაქვთა“.

წიგნის „ჩემი ციური ხომალდი“ რედაქტორი ნუგზარ ჯაფარიძე ანოტაციაში წერდა: „მიწის სიყვარულს არც ერთ სკოლაში არ ასწავლიან, მით უფრო, ჩვენს დროში, როცა მიწაცა და წყალიც საცალო და საბითუმო საგნად იქცა. ათწლეულების განმავლობაში ნანახი და განცდილი, გულის გულიდან ამოღებული ამბებითაა აკინძული ავტორის მონაყოლი“. ვფიქრობთ, ამით ყველაფერია ნათქვამი.

გივი თურმანიძე ახალგაზრდა ჟურნალისტებისა და იმ ავტორების გზამკვლევი იყო, რომლებიც პირველ ნაბიჯებს დგამდნენ ქართულ მწერლობასა და პუბლიცისტიკაში. გამომცემლობა „მარეთი-93“-ში მუშაობისას მან მრავალი წიგნის რედაქტორობა ითავა. იცოდა და წერდა, შეეძლო და აკეთებდა. საუბედუროდ, აღარ დასცალდა მორიგ წიგნზე მუშაობის დასრულება.

მეგობრისა და მეზობლის თანამდგომი, მოყვასის მომფერებელი, იმერელ ქალბატონ ლამარა ბალანჩივაძესთან ერთად, სიყვარულსა და სიკეთეზე დაფუძნებული ოჯახის წინამძღოლი იყო. მისი ვაჟი რამაზ თურმანიძე მამის ნაკვალევზე მოდის.

გივი თურმანიძის გარდაცვალებით ქართულმა ჟურნალისტიკამ, აჭარის ინტელიგენციამ, საღად მოაზროვნე საზოგადოებამ კიდევ ერთი ღირსეული წევრი დაკარგა. მის საქმესა და სახელს დავიწყება არ უწერია. უფალმა სამუდამო სასუფეველში ნათელი დაუმკვიდროს!

შპს „გაზეთ „აჭარისა“ და „ადჟარიას“ რედაქცია

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე
ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს
«გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება -
შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000,
ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა
გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 12/12/24, 18 15 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# ვაჟა და გელა გორგილაძეების მემორიალური გამოფენა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

*ნიკოლოზ კანდელაკის სახელობის სამხატვრო სკოლაში ძმების - გელა და ვაჟა გორგილაძეების მემორიალური გამოფენა გაიმართა. ბათუმელი ხელოვანები მძიმე ავადმყოფობით ადრე გარდაიცვალნენ. ისინი არა მხოლოდ კარგი შემოქმედები, არამედ შესანიშნავი პიროვნებები იყვნენ. შეიძლება ვთქვათ, რომ ეს ღონისძიება პატივმიგებისა და ხსოვნის, მათი შემოქმედების კიდევ ერთხელ გახსენებაა და ამით კარგი საქმეც გაკეთდა - ბევრმა დამთვალიერებელმა ეს ძმები ამ გამოფენით აღმოაჩინა*







ვაჟა გორგილაძე გობელენით იყო დაინტერესებული, გელა კი გრაფიკაში მუშაობდა. სიცოცხლეში მათ ცალ-ცალკე ჰქონდათ საკუთარი ნამუშევრების პერსონალური გამოფენები, ასევე, სხვადასხვა ჯგუფურ გამოფენაში მონაწილეობდნენ.

გამოფენა აჭარის მხატვართა კავშირმა და ოჯახმა, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თანადგომით, ერთობლივად მოაწყვეს. გამოიფინა ორმოცდაათზე მეტი ნამუშევარი...

გელა სიცოცხლის ბოლომდე ბავშვთა სამხატვრო სკოლის პედაგოგი იყო, რომელშიც ვაჟა მასზე უფრო ადრე მუშაობდა, შემდეგ თბილისში გადავიდა, მუშაობდა მოსკოვშიც. გამოფენაზე ძმების შესანიშნავი ნამუშევრების საკმაოდ დიდი ნაწილი იყო წარმოდგენილი...

ვაჟა გორგილაძე 1953 წელს დაიბადა ბათუმში. დამთავრებული ჰქონდა თბილისის სამხატვრო აკადემია. 1998 წელს მოსკოვში მისი პირველი პერსონალური გამოფენა მოეწყო, 2002 წელს - ლიპეცკში. 2008 წლიდან მონაწილეობდა რესპუბლიკურ და საერთაშორისო გამოფენებში.

გელა გორგილაძე 1960 წელს დაიბადა ბათუმში. 1979 წელს მან ბათუმის ნიკოლოზ კანდელაკის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი დაამთავრა, მოგვიანებით - თბილისის სამხატვრო აკადემია. 2005 წელს მისი პერსონალური გამოფენა თურქეთის ქალაქ სამსუნში მოეწყო, 2008 წელს - ბათუმში. 2007 წლიდან მონაწილეობდა საერთაშორისო და რესპუბლიკურ პლენერებში, გამოფენებში. 2014 წელს ამერიკის „არტექსპო ნიუიორკის“ გამოფენაში მონაწილეობდა. გახლდათ საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი.

- ვაჟასთან ვმეგობრობდი, ერთად ვსწავლობდით სამხატვრო აკადემიაში და ერთადაც ვცხოვრობდით თბილისში. გელა ჩემი მოსწავლე იყო, ჩვენი სასწავლებელი დაამთავრა და აკადემიაში განაგრძო სწავლა. მათ ძალიან უყვარდათ თავიანთი საქმე და ეს ნამუშევრებითაც კარგად ჩანს, - გვითხრა აჭარის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე გურამ ფუტკარაძემ.

- ძალიან საინტერესო ნამუშევრებია, საუკეთესო. საწყენია, რომ ეს ორი ადამიანი ჩვენ გვერდით აღარაა . საჭირო გამოფენაცაა, რადგან გელა გორგილაძემ ისეთი შემოქმედება დატოვა, რომელიც ყველაზე საჭიროა ქალაქისთვის. მათში ჩანს როგორი იყო და რა დონის ქალაქი, რა იყო მასში ყველაზე კარგი. ძველ ბათუმზეა საუბარი, რომელიც აღარ დაგვრჩა და გელამ ძველი ფოტოებიდან, წარმოსახვიდან ისეთი შემოქმედება დაგვიტოვა, რომელიც ბევრ ბათუმელს არ დაუტოვებია. ეს ხელშეუხებელი საგანძურია. ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობ, სამინისტროში, საგრანტო პროექტებით, ამ ნამუშევრების კატალოგი გაკეთდება, ერთად ან ცალ-ცალკე, - აღნიშნა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელაძემ.

- გელას ნამუშევრებს, საბედნიეროდ, დიდი ხანია ვიცნობთ და მისი გამოფენა არაერთხელ გვქონია მუზეუმში, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, გაოცებული ვარ მისი ძმის - ვაჟას ნამუშევრებით, რომელიც არ მქონდა ნანახი. საოცრად დახვეწილი, ფერადოვანი, ფოლკლორული მოტივებითა და ქართული კეთილშობილებით აღსავსეა ეს ყველაფერი, შესანიშნავია და მათი ნამუშევრების კატალოგი თუ გამოიცემა, ჩემი აზრით, ეს აჭარის სახვითი ხელოვნებისთვის სერიოზული განძი იქნება. ასეთი ნიმუშები უნდა ალამაზებდეს მუზეუმებსა თუ დაწესებულებებს. დიდი მადლობა მას, ვინც მოაწესრიგა და გამოფინა აქ ეს უნიკალური ტილოები ამ ორი უნიჭიერესი ძმის შემოქმედების წარმოჩენისთვის, - თქვა ხელოვნებათმცოდნე რატი ჩიბურდანიძემ.

- ვაჟა ჩემი მეზობელი იყო, ერთ სახლში ვცხოვრობდით. მან შემაყვარა გელა. დიდი მადლობა მათ ასეთი შემოქმედებისთვის, მადლობა ბატონ გურამს, ეს შესანიშნავი ბიჭები, რომელთაც არაერთი წელი ვიცნობდი, ამ გამოფენით, მათი შესანიშნავი შემოქმედებით, ხელოვნებით ასე ახლოს რომ გაგვაცნო. გული მწყდება, ამ ადამიანების შემოქმედებას მათ სიცოცხლეში ასე კარგად რომ არ ვიცნობდი. უწყინარი, მეგობრული, ლამაზი სულის ბიჭები იყვნენ, რომ იტყვიან, ჭიანჭველას ფეხს არ ადგამდნენ. ამ თვისებებთან ერთად, თურმე რა კარგი ხელოვანები ყოფილან. გამაოცეს, ნახეთ, რა შედევრები აქვთ შექმნილი. თითოეული ნამუშევრით გაოცებული ვარ, - გვითხრა მოქანდაკემ და მხატვარმა ჯიმსონ გურგენიძემ.



- ვაჟას გობელენზე შესრულებული აქვს შესანიშნავი ნამუშევარი „ებრაელი პრინცის კორონაცია“. იგი არაჩვეულებრივია! აქ გამოიფინა ოჯახში შენახული ნამუშევრები, რამდენიმე მეგობრებიდანაც მოვიტანეთ, ყველაფერში დაგვეხმარა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. 54 ნამუშევრიდან 31 ვაჟასია, 23 - გელასი. ამ გამოფენით ერთხელ კიდევ გვინდოდა მოვფერებოდით მათ სულებს. არ მინდა, მათი შემოქმედება დავიწყებას მიეცეს, მომავალმა თაობამაც უნდა იცოდეს მათ შესახებ. რომ არა გელასა და ვაჟას მეგობრების, კოლეგების, სამინისტროს თანადგომა, ეს გამოფენა ვერ მოეწყობოდა. დიდი მადლობა მათ. მხატვრები გამიგებენ, ამაში რა შრომაა ჩადებული, - გვითხრა გელა გორგილაძის მეუღლე ქეთი კუპრაძე-გორგილაძემ.

# ქართული ნახატი - ბერლინის კედლებზე

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

*ბათუმელი მხატვარი **იოსებ ჯორბენაძე** გერმანიის დედაქალაქ ბერლინში იმყოფებოდა, სადაც ქუჩის ხელოვნების ფარგლებში, ადგილობრივ ხელოვანებს ქართული კულტურა გააცნო და ბერლინის კედლები მოხატა. როგორც თავად ამბობს, ქუჩის ხელოვნების აკადემიის პირველი ბეჭდური ეგზემპლარებიც ბერლინში დარჩა და ცნობილი არტისტების ნახატების გვერდით, ქართული ფოლკლორის ხაზისგამსმელი ნამუშევარი გაჩნდა. დაიგეგმა სამომავლო პროექტები და კოლაბორაციებიც.*



**- იოსებ, როგორ აღმოჩნდით გერმანიაში და სამომავლოდ რა დაგეგმეთ?**

- მოგეხსენებათ, ბათუმში ქუჩის ხელოვნება განვითარების აქტიურ ფაზაშია. 2017 წელს, როცა კედლების განსხვავებული სტილით მოხატვა გადავწყვიტე, რეგიონში მასალა-ინვენტარი არ იშოვებოდა. შეუდრეკელი ხასიათისა და შემოქმედებითი დისციპლინის შედეგად, გაჩნდა კავშირები და საქმემ დაინტერესება გამოიწვია. დღეის მდგომარეობით, ბევრი რიგითი მოქალაქე, კერძო კომპანიები, სტარტაპები, მედია, სამმართველო ორგანიზაციები და, უბრალოდ, ნიჭიერი ახალგაზრდები ქუჩის მხატვრობის იდეას მხარდაჭერას უცხადებენ. როცა კონკრეტული დარგის განვითარების საწყის პერიოდებშივე გიწევს მოღვაწეობა, ავტომატურად გიჩნდება დამატებითი პასუხისმგებლობა, რომ იზრუნო ქალაქის ურბანულ იერსახეზე, შესაბამისად, თანაქალაქელების ემოციებზე, რომელთა გრძნობების ვიბრაციულ რხევასაც ფერადი კედლებიდან ახდენ. წელიწადზე მეტია, ბათუმში გამოჩნდა „KOBRA“-ს ფირმის საუკეთესო ხარისხის სპრეი/პულვერიზატორი და იტალიელი პარტნიორების მხარდაჭერით, აქტიურ რეჟიმში ვმარაგდებით სხვადასხვა ინვენტარით. ქართული კულტურის გაცვლის იდეით გადავწყვიტე, რომ ბათუმის ქუჩებში შობილი ხელოვნება ევროპის „სთრით არტ“ ქალაქის ეპიცენტრში, ბერლინში ჩამეტანა. იქაური „გრაფიტი შოპის“ წარმომადგენლები თბილი სალამით, ხარისხიანი საღებავებით და „ლეგალური“ კედლებით დაგვხვდნენ. ადგილობრივ ახალგაზრდა მხატვრებში (და არამხოლოდ) დიდი ინტერესი გამოიწვია ზღვისპირა ქალაქის ურბანულმა ისტორიამ, ხელოვნების განვითარების ეტაპებმა და ჩემი, როგორც ბათუმელი არტისტის სტილი დადებითი, განსხვავებული სპექტრით შეფასების საგანი გახდა. ვისაუბრეთ გერმანიის გამოცდილებაზე, რა დოზით არის ინტეგრირებული ქუჩის ხელოვნების სხვადასხვა მიმართულება თანამედროვე არქიტექტურასა და ლანდშაფტურ დიზაინში. დღეს ბათუმის მხატვრობას საერთაშორისო გულშემატკივრები ჰყავს და არ დაიშურებენ ძალისხმევას, რომ ქალაქის ურბანული ხელოვნება ახალ ეტაპზე გადავიდეს, მე კი ვეცდები, შევასრულო ჩემი წილი მედიატორული პასუხისმგებლობა. თვითდაფინანსებით წამოწყებულმა პროექტმა კიდევ უფრო მასშტაბური სახე მიიღო და ბერლინში ცნობილი არტისტების ნახატების გვერდით გაჩნდა ნამუშევარი, რომელიც ხაზს უსვამს ქართულ ფოლკლორს, რომელიც ქართული ასოებით სიყვარულს სკანდირებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 90-ანი წლებიდან მოყოლებული, არტისტებისთვის ძალიან საინტერესო და ინოვაციური აღმოჩნდა ბათუმის ქუჩის ხელოვნების აკადემიის ჩამოყალიბება. იგი აერთიანებს ხელოვანებს და ქვეყანას სთავაზობს შემოქმედებითად ახლებურ მიმართულებას. დაწყებულია პულვერიზატორების ტექნიკით ხატვის სწავლება ყველა დაინტერესებული ადამიანისთვის და ქუჩაში შობილი ხელოვნება აკადემიურ სახეს იღებს. ბათუმი უკვე ხდება „სთრით არტ“ ქალაქი და ეს შედეგი გაფრთხილებას და გაფართოებას საჭიროებს. უფრო ბევრი საერთაშორისო ფესტივალი, გამოფენა და არტღონისძიებაა ჩასატარებელი, რომ ქალაქში არ დავარდეს ნაცრისფერი კედლების გაკეთილშობილების მუხტი, მასთან ერთად კი საზოგადოების განწყობაზე იზრუნოს. 2024 წელი მთავრდება და მიხარია, რომ წლის შეჯამება შემოქმედებითად დახუნძლული, თვითმყოფადი პროექტის ფარგლებში, ბერლინში მოხდა. ასევე, მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან მალე ქუჩის ხელოვნების აკადემიის სახელით პირველ პერსონალურ გამოფენას მოვაწყობ და ლოკალური მხარდაჭერით კიდევ ერთხელ, ტრადიციულად ვიტყვით ახლებურ სიტყვას ქართულ თანამედროვე ხელოვნებაში, - გვითხრა იოსებ ჯორბენაძემ.

